140
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამგეჯი

6
1969

მ. ზოშჩენკო

ZOZOZ

ბავშვური ლენინიანა

უფროსებისთვის

მოთხრობა

ოცდაექვსი წლის ლენინი უკვე საქვეყნოდ ცნობილი რევოლუციონერი იყო და მეფის მთავრობას ცეცხლივით ეშინოდა მისი.

მეფემ ბრძანა ლენინი ციხეში ჩაესვათ.

ვლადიმერ ილიას ძემ ციხეში თოთხმეტი თვე დაჰყო.

ამის შემდეგ კი ჟანდარმერიამ ის ციმბირში გადაასახლა, სადაც მთელი სამი წელიწადი ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა.

ეს სოფელი ტაიგაში იყო, მივარდნილი და ღარიბი.

მაგრამ ვლადიმერ ილიას ძეს გულს არ დაკლებია, ასეთ მივარდნილ ადგილას რომ გადაასახლეს. ის იქ ბევრს მუშაობდა: წერდა რევოლუციურ წიგნებს, საუბრობდა გლეხებთან, ეხმარებოდა მათ რჩევა-დარიგებებით.

თავისუფალ დროს ლენინი თავის მონადირე ძაღლთან—ჟენკასთან ერთად ნადირობდა, საბანაოდ დადიოდა, ჭადრაკს თამაშობდა. თანაც ჭადრაკი თვითონ გამოჭრახის ქერქისაგან. ნახელავი საუცხოო გამოუვიდა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. მესამე წელიწადი მიიწურა. გადასახლების დამთავრების დროც დადგა.

ვლადიმერ ილიას ძე უკვე იმის ფიქრში იყო, სად წასულიყო, რომ ისევ გაეგრძელებინა რევოლუციური მუშაობა.

გადასახლების ვადის დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე ლენინის საცხოვრებელ ქოხში ჟანდარმები მოვიდნენ.

მათ ლენინს უთხრეს:

— აი რა, ჩვენ ახლა თქვენს ბინას გავჩხრეკთ. თუ მეფის მთავრობის მიერ აკრძალული რამე ვიპოვნეთ, მაშინ გვიფრთხილდით. განთავისუფლების ნაცვლად, ამ მივარდნილ სოფელში, სულ ცოტა, კიდევ სამ წელიწადს დაგტოვებთ.

ლენინს კი აკრძალული წიგნები და სხვა რევოლუციური საბუთები ჰქონდა. ეს წიგნები და საბუთები წიგნის კარადის ქვედა თაროზე ეწყო.

ერთი ულვაშიანი, სქელი ჟანდარმი კარებში ჩადგა, რომ ქოხში არც შესულიყო ვინმე და არც გამოსულიყო. ხოლო მეორე, დაბალი, ასეთივე ულვაშიანი და მრისხანე იერის მქონე ჟანდარმი ოთახში სიარულს მოჰყვა და ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა. მაგიდა და კომოდი დაათვალიერა; ღუმელშიაც შეიხედა, საწოლის ქვეშ შეძრომაც კი არ დაიზარა, რომ ენახა რა იყო იქ.

შემდეგ წიგნის კარადასთან მივიდა.

— რა გაქვთ ამ კარადაში? — იკითხა მან.

— ჩემი წიგნები. — უპასუხა ლენინმა.

— აი, გავსინჯავ ამ თქვენს წიგნებს და ვნახავ რა წიგნებიცაა.

ჟანდარმი ჩაფიქრდა: საიდან დაეწყო გასინჯვა, ზედა თუ ქვედა თაროდან?

ლენინის ცოლი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, უყურებს ჟანდარმს და ფიქრობს:

„ნეტა ზედა თაროდან დაიწყოს! მაშინ, ჩხრეკის დამთავრებამდე დაიღლება და ბოლო თაროს ისე ყურადღებით აღარ გასინჯავს. მაგრამ თუ ქვედა თაროდან დაიწყო ჩხრეკა, საქმე ცუდად წავა: სწორედ ამ თაროზე, სხვა წიგნებთან ერთად, აკრძალული ლიტერატურაც არის“.

ლენინიც უყურებს ჟანდარმს და ისიც ამასვე ფიქრობს.

უცებ, ლენინი ეშმაკური ღიმილით იღებს სკამს, კარადასთან დგამს და ეუბნება ჟანდარმს:

— თქვენ ტანმორჩილი ბრძანდებით, მაღლა შეწვდომა ვაგიჭირდებათ, შედექით ამ სკამზე და ისე გასინჯეთ ჩემი წიგნები.

რევოლუციონერის ზრდილობით გაკვირვებულმა დაბალმა, ულვაშიანმა ჟანდარმმა ლენინს თავაზიანობისათვის მადლობა გადაუხადა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ კომუნისტთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ბუბა ტოტო

ბუბა

6 • ი ე ნ ი ს ი • 1969

გამოცემის 43-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

10.956

სწავლა დამთავრდა!

პლასტუნკის რვაწლიანი სკოლა.

ფოტოეტიუდი ა. ჩიგოგიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სკამზე შედგა. რაკი სკამზე ავიდა, ცხადია, გასინჯვაც ზედა თაროდან დაიწყო. ლენინსაც ეს უნდოდა.

ილიჩი უყურებდა ჟანდარმს და იღიმებოდა.

იღიმებოდა კრუპსკაიაც, რომელმაც დაინახა, როგორ აიძულა ლენინმა ჟანდარმი მისდა სასარგებლოდ მოქცეულიყო.

აი, ჟანდარმი ზედა თაროზე იქექება; თვითეული წიგნის სათაურს კითხულობს და, შიგ ხომ არაფერი დევსო — ბერტყავს. დრო კი გადის. წიგნები ბევრია.

სამი საათი მოუნდა ჟანდარმი ოთხი თაროს გასინჯვას.

მეხუთე თარო ჟანდარმმა დიდი ყურადღებით აღარ გასინჯა. მით უმეტეს, რომ კარებში მდგარი სქელი ჟანდარმი ოხვრას მოჰყვა. მან თავის ამხანაგს ნაღვლიანად უთხრა:

— ოჰ, რა დიდხანს გაგრძელდა ჩხრეკა. დავიღალე და მომშივდა კიდეც.

— მალე წავალთ სასადილოდ.— მიუგო დაბალმა ჟანდარმმა. — აი, ბოლო თაროღა დარჩა. ალბათ არც ამ თაროზე აქვთ რამე ისეთი, თუკი მთელ კარადაში არაფერი აღმოჩნდა.

სქელმა ჟანდარმმა კვერი დაუკრა:

— აშკარაა, რომ არაფერი აქვთ. წავიდეთ, ვისადილოთ.

დაბალმა ჟანდარმმა, ისე, რომ ქვედა თარო თითქმის არც გაუსინჯავს, ლენინს უთხრა:

— აკრძალული ვერაფერი ვიპოვნეთ. მაქვს პატივი, დაგემშვიდობოთ.

ამ სიტყვებთან ერთად ჟანდარმები წავიდნენ.

როგორც კი მათს უკან კარი მიიხურა, ვლადიმერ ილიას ძემ და კრუპსკაიამ გულიანად იცინეს იმაზე, თუ როგორ გააბრიყვეს ჟანდარმები.

თარგმნა ვახტანგ ჟღენტმა.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ალ. ულიანოვის მეჯოგის შვილი

ქუბანიჩბეკ მალიკოვი

დარბაზი
დილის სხივებში ცურავს,
თვალს ვერ ვაშორებ
კედელზე სურათს.
ვხედავ: ყმაწვილი
რაღაცას ხატავს,
მის ლამაზ სახეს
ღიმი უხდება.
გამოკვეთილა
სიტყვები ნათლად:
„საბჭოებს
მთელი ძალაუფლება!“
„საბჭოებს
მთელი ძალაუფლება!“—
გავიმეორებ
და გული მღერის
და ჩემს ხსოვნაში
უეცრად დგება:
ლენინი,
სმოლნი
და ოქტომბერი!
კვლავ სურათიდან,
დიდების ღირსი,
დიდი ლენინი
გვესაუბრება
და მოგვიწოდებს
გენია მისი:
„ხაბჭოებს მთელი
ძალაუფლება!.
შემოვლებია
ცას ცისარტყელა,
უფრო და უფრო
მიწა შუქდება
და იმეორებს
ყირგიზი ყველა:
„საბჭოებს
მთელი ძალაუფლება!“
ამ სიტყვის გვჯერა,
ამ სიტყვით ვივლით,
ეს სიტყვა არის
ყველაზე წრფელი.
ალაის ველთა
მეჯოგის შვილი
მარად იქნება
ამ სიტყვის მცველი.

ყირგიზულიდან თარგმნა
ვახტანგ გორგანელმა.

ფოტორეპორტაჟი
ანზორ ჩიგოგიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქალაქის ნორჩ ტექნიკოსთა

თბილისში, ა. წერეთლის პროსპექტის დასაწყისთან დგას ლამაზი, სამსართულიანი შენობა. ეს შენობა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სადგურს ეკუთვნის. მწვანე ხეივანი, წყნარი ეზო სახლს მშვიდ იერს აძლევს, მაგრამ მის ფართო, ნათელ ოთახებში თუ შეიხედავთ, იქ მუდამდღე გაცხოველებული საქმიანობაა.

საავიაციო, საზღვაო, გამოთვლითი ტექნიკის, ფოტოკინოტექნიკის, ავტომატიკა-ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, პოლიგრაფიის, ასტრონომიის, კიბერნეტიკის, ქიმიის, ფიზიკის და სხვა კაბინეტებსა თუ ლაბორატორიებში ტექნიკის ნორჩი მოყვარულები ივითარებენ შრომითს ჩვევებს, ნიჭსა და ფანტაზიას...

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური 1929 წელს დაარსდა კომკავშირის სამხარეო კომიტეტის თაოსნობით. ეს იყო საქართველოში პირველი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება.

თავდაპირველად აქ სამი წრე ჩამოყალიბდა: სადურგლო, ავიასამოდელო და ფოტოტექნიკის წრეები, რომლებიც 40-მდე მოსწავლეს აერთიანებდნენ. ამჟამად კი სადგურის 100-მდე სხვადასხვა სახის ექსპერიმენტულ, ტექნიკურ და სამეცნიეროტექნიკურ წრეებში 1 500 მოსწავლეა ჩაბმული.

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური ყოველწლიურად აწყობს კონკურსს — „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს", ამ კონკურსზე წარმოდგენილი ათასობით თვითნაკეთი ხელსაწყო შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცემა ხოლმე რესპუბლიკის სკოლების კაბინეტებსა და წრეებს.

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მრავალ



რეზინისხრახნიანი წყალქვეშა ნავის მოდელი.
გიორგი ხუბელაშვილი,
თბილისის მე-18 საშუალო სკოლა.



სამდინარო გემის მოდელი.
ქუთაისის მე-9 და მე-7 საშუალო სკოლების ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევარი.

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთსამოდელო წრის წევრი ა. ჩერქეზიშვილი ამოწმებს ჩქაროსნული გლისერის საჰაერო ხრახნს.



საპლანეტთაშორისო სადგურის „ლუნა-9“-ის მაკეტი და რაკეტის მოდელი.
მაკეტის ავტორები: ქუთაისის მე-13, მე-19 და 23-ე საშ. სკოლის მოსწავლეები. რაკეტის ავტორი: რ. ბაქანიძე, მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის მოსწავლე.

წევრს ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების მსოფლიო და საკავშირო გამოფენებში მიუღია მონაწილეობა. 300-მდე ნორჩი ტექნიკოსი დაჯილდოებულია სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მედლებითა და პრემიებით. ქიმიის წრის წევრთა ნამუშევრებმა — მხატვრულმა მინანქარმა და სავაჭრო ავტომატმა ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების მსოფლიო გამოფენაზე აშშ-ში დიპლომები მიიღო. რადიოსპორტული სექციის გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია პიონერთა და მოსწავლეთა შორის. სატრანსპორტო ლაბორატორიის ნორჩმა ტექნიკოსებმა ანტარქტიკული ყველგანმავალის რადიომართული მოდელის შექმნისათვის პატენტი მიიღეს.

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს წლეულს არსებობის მე-40 წელი უსრულდება. 40 წლის მანძილზე სადგურმა 40 ათასზე მეტ პიონერსა და მოსწავლეს ჩაუნერგა ტექნიკისადმი სიყვარული, აღჭურვა მეცნიერული კვლევის ჩვევებით, დაეხმარა პროფესიის არჩევაში... ბევრი მეცნიერის, ინჟინრის, კონსტრუქტორის შემოქმედებითი ცხოვრების გზას



რაკეტული დანადგარი ტანკზე.
ია ვახტანგაძე, ჯონი კოპელიანი და დანიელ ფიჩხაძე. ქუთაისი.

ერთხმიანი მუსიკალური საკრავი.
(მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ფარცხალაძე, ნ. ჩიტაია, ნ. ლეშკაშელი. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოტექნიკის წრის წევრები.



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. დვალიშვილის (თბილისი) მიერ დამზადებულ მიკრო-მოტოციკლეტს საათში 35-40 კმ. სიჩქარით შეუძლია იაროს და რამდენიმე ათეული კილოგრამი ტვირთი გადაიტანოს.

სწორედ ამ სადგურის ლაბორატორიებსა და წრეებში მიეცა დასაბამი. ყოფილ ნორჩ ტექნიკოსებს ამჟამად დიდი წვლილი შეაქვთ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

დაე, ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა საყვარელ სადგურს მრავალი და მრავალი ათასი მოზარდისათვის კვლავაც გაელვივებიოს და განვითარებიოს შემოქმედებითი ნიჭი და უნარი!



თბილისელი ნორჩი ტექნიკოსები ა. კილურაძე და ვ. კოზაშვილი ამზადებენ თვითმფრინავის მოდელს.



იალქნიანი ნავის მოდელი. თინათინ შარაშენიძე და თამაზ გაგუა. ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ბიძაშვილს ბუეკაჩოს!

გიორგი ჯაჯუაშვილი

მხატვარი
აკაკი თევზაძე

მოთხრობა

ლოფელში იმ დროს ჩავედი, როცა რთველი ახლოვდებოდა. დედაჩემმა შემომჩივლა, ქვევრი გვაქვს გასარეცხიო. მეც, გამოვიცვალე შარვალი, გადავიბანე ფეხები და ქვევრში ჩასვლა დავაპირე. ჩავყავ კიდეც ფეხი... ხან აქეთ მოვტრიალდი, ხან იქით მივტრიალდი, ასეც ვცადე, ისეც, მაგრამ...

გაეცინა დედაჩემს.

მეც გამეცინა.

კიდევ შევეცადე, ჰაი იქით, ჰაი აქეთ, მაგრამ ვერა და ვერა!

რა დამემართა?!

— გასუქებულხარ, შვილო. მუცელი არ გიშვებს.

— მუცელი კი არა, თეძოებამდეც ვერ ჩავდივარ. — ვიმართლე თავი.

— ჰოდა, სიმსუქნის ბრალია. ხარს რომ იალაღზე გაუშვებენ, შენც ისე მოგსვლია.

— მერე უღელში ვეღარ ეწევა, არა?

— უღელში როგორ ვერ ეწევა, ნაიალაღარ ხარს ორჯერ მეტი ღონე აქვს, მაგრამ მალე იღლება.

— მეც მალე ვიღლები.

— ჰოდა, მეც ეგ გითხარი.

თავი დამნაშავედ ვიგრძენი. შარვალი ჩავიცვი და იქვე, ერთიციდა სკამზე ჩამოვჯექი. რა უნდა მექნა? გასარეცხს ხომ ვერ დავტოვებდი, ყურძენი რაში ჩამეწურა?

— დიდ ქვევრს გავრეცხავ.

— სადიდო არაფერია, შვილო. ჯერ იყო და ამ გაზაფხულზე სეტყვამ გაანადგურა. თუ რამე გადარჩა, გვალვამ შეჭამა. ცამ ისე შეიკრა პირი, გუშინწინამდე წვეთი არ ჩამოაგდო. წვიმას კი ახლა უკვე ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

„მაშ რა ვქნა? — ვფიქრობდი ჩემთვის, — სხვას დავუძახო, სირცხვილია. იტყვის, თვითონ ბატონკაცურად შინ დამჯდარა და მე ქვევრს მარეცხინებსო. ხომ ვერ ვიტყვი, მუცელი მიშლის-მეთქი“. უცებ გამახსენდა... მოკასინებში წავყავი ფეხი, მარნის კარებში გამოვეყუდე და:

— თამაზ!

— რა, გიგა ძიავ?

— აქ მოდი!

თამაზი კაკალზე ყოფილიყო ასული. წინადღეებში დაბერტყილ ხეს კენწეროებში კიდევ შერჩენოდა და მათ მოსაგონგორავებლად დაძვრებოდა. ჩემს ხმაზე უცბად დარიახდა და ერთ წამში მიწაზე გაჩნდა.

— მოვდივარ, — დაიძახა და თან კაკლით სავსე უბეს სიამოვნებით მოეფერა.

სანამ მოვიხედავდი, თამაზი ჩემთან გაჩნდა, ნიგვზით გამოტენილი პირი ქუცინასავით აექაფებინა და ქშინავდა.

— აი, დედი, თამაზიც ქშინავს. ეტყობა, ესეც სუქდება.

თამაზს გაეცინა. ჩემს გაწვდილ ხელისგულს თავით გაეხახუნა და მარნის კარებში შემოძვრა.

— რა გინდოდა?

— ქვევრი უნდა გამირეცხო!

— ქვევრი?!

— ჰო, ვერ გარეცხავ?

— რატომაც ვერ გავრეცხავ! მამაჩემი არ ჩამსვამს ხოლმე, თორემ იმაზე კარგად მე გავრეცხავ!

— ოჰო! — შეეკვეხა და ბეჭებზე ხელი მოვუთათუნე.

თამაზი ჩემმა შექებამ უფრო გაათამამა, უბიდან ერთი მუჭა კროკი კაკალი ამოიღო და გამომიწოდა. მეც მუჭა გავუშვირე, მაგრამ მეორედაც რომ უბისკენ წაიღო ხელი, ვიუარე:

— არა ადარ მინდა!

— მაშ ქვევრში კაკლებით ხომ არ ჩავალ, ე! შემინახე!

— კარგი, ამოიღე კაკლები. ქვევრიდან რომ ამოხვალ, ერთად დავამტვრიოთ და ვიქეიფოთ.

ქეიფის ხსენებაზე თამაზს სახე გაებადრა. მართალია, ღვინოს არა სვამს, მაგრამ ქეიფი მარტო ღვინის სმა როდია. ქეიფი ლხინი და სიცილია.

თამაზი თორმეტი წლისაა. ახლა ის უკვე მეხუთე კლასში სწავლობს. თითქმის ოცდახუთი წლის წინათ მეც ასე ვიყავი. ოღონდ, მაშინ ომი იყო და ვშიმშილობდი. თამაზი კი... ერთი შეხედვითვე ეტყობა, რომ ჯანიანი ბიჭია.

— თამაზ, ჭიდაობ?

— ცოტ-ცოტას.

თამაზი რომ იტყვის „ცოტ-ცოტასო“, ეს „ძალიან ბევრს“ ნიშნავს.

დედაჩემმა ტაშტით წყალი მოუტანა და თამაზს საგულდაგულოდ დაჰბანა ფეხები. მე კი წეღან ოდნავ მომწკუპლა და მამყოფინა. რატომ? — რა ვიცი, ბავშვია და ვერ ვენდობი, ნახევარზე ფეხშიშველი დარბისო.

ფეხშიშველი მეც დავდიოდი ხოლმე, მაგრამ...

თამაზმა კაკლები სკამთან დაახვავა და ქვევრში ჩავიდა.

ქვევრში წყალი იყო ჩასხმული. ახლა მე მხოლოდ კრაზანა ჩამოვიღე კედლიდან, დავბერტყე, წყალი გადავავლე და ჩავაწოდე.

— მეც ასე მარეცხინებდა ხოლმე ბიძაჩემი. — ჩავაყოლე სიტყვები.

— შენც?! — თვალები გაუფართოვდა თამაზს. — პაპა? ე!

— მაშ სხვა ვინ მყავდა ბიძა? რომელ ქვევრშიაც თვითონ ვერ ჩაეტეოდა, მე ჩამსვამდა ხოლმე. თივასაც მე მადგმევინებდა.

თამაზი ფიცხობდა. ეტყობოდა, ქეიფი ეჩქარებოდა.

— ცოტათი კი ნუ უფაცუნებ, — ჩავძახე მაღლიდან. — ღონივრად გაუსვი კრაზანა. ჯერ წყალში ღრმად ჩაყავი, სწრაფად ამოუსვი, ქვევრის პირამდე ამოიტანე და იქიდან დაიწყე რეცხვა. მერე თანდათანობით ძირს

დაუწევ და, როცა დაინახავ, წყალი აღარ გასდის, ისევ ჩაჰყოფ და ამოუსვამ. ჯერ შუას ზემოთ უნდა გარეცხო და მერე ქვემოთ. ბოლოს კიდევ, ფილი უნდა მოურეცხო საგანგებოდ.

— ვიცი, — მითხრა თამაზმა, მაგრამ შევატყვე, არ იცოდა.

მარანში კომშისა და ვაშლის სუნი დგას. კუთხეში კარტოფილით სავსე გოდრები აწყვია. გოდრის ქიმებზე ნივრისა და ხახვის გალები ჰკიდია. მათ ზემოთ კი კამისა და გარეული პიტნის კონებია ჩამოყირავებული. ცოტა აქეთ, ქვევრის სიახლოვეს, პატარა ლასტია ჩამოკიდებული და ზედ მწიფე პამიდორებია გაშლილი. მარნის ჭერებიდან მამლაყინწა იყურება.

ცოტა ხნის შემდეგ მამლაყინწა გარეთ გაფრინდა. მარანში დედაჩემი შემოვიდა, თან ორი ვედრო წყალი შემოიტანა.

— რა ჰქენით, შვილო. ჭურჭელი ხომ არ გინდათ წყლის ამოსაღებად?

— წყალს მე ვერ მოვიტანდი? — შევაგებე პასუხი.

— შენ აქ იყავ, შვილო, დაისვენე!

დაისვენეო. რა გამიკეთებია, რომ დავისვენო. თუმცა ვიქნები ასე და თამაზს გავართობ, მასაც ხომ ყურისგდება უნდა!

დედაჩემი გარეთ გავიდა. მერე ცარიელი ქვაბები და ვედროები შემოიტანა და მითხრა:

— აი, შვილო, ჭუჭყიან წყალს რომ ამოიღებთ, ამ ჭურჭელში ჩასხით. სუფთა წყალი კი იმ ვედროებშია. ბევრი რეცხვა არ მოუნდება. სულ ორი თვეც არ იქნება, რაც ამ ქვევრიდან ღვინო გადავიღეთ.

„ბევრი რეცხვა არ მოუნდებაო“ და მეც ეგ მინდა! მით უმეტეს — თამაზს. თუმცა ჯერ არცერთი სიტყვა არ დასცდენია საიმისო, რეცხვა ეზარებოდეს.

„შხუ-შხუ, შხუ-შხუ!“ — მოისმის ქვევრიდან. დროდადრო კი ეს მონოტონური ხმაური წყდება და თამაზის ხმა ამოიჭრება ხოლმე ქვევრის ყელიდან:

— გიგა ძიავ, ისევ მანდა ხარ?

— მაშ სად წავიდოდი!

— რა ვიცი... რას აკეთებ? — ძლივსღა ქშინავს თამაზი, ეტყობა, დაიღალა.

— კაკალს ვამტვრევ. არ ვიქეიფოთ?

— ჰო, ვიქეიფოთ, დაამტვრიე!

კაკლის დამტვრევა აზრადაც არ მომსვლია. ისე წამომცდა. ახლა კი იძულებული გავხდი, მართლა დამემტვრია. ფანჯრის რაფიდან პატარა ჩაქუჩი ჩამოვიღე, ხუთჩაფიანი ქვევრის თავზე რკინის ჯამი იდგა, ის მოვითრიე და კაკლის მტვრევას შევუდექი.

— წყალი ამოსაღვრელი ხომ არ გახდა? აბა, ნახე! — ჩავძახე ცოტახნის შემდეგ.

— არა ჩანს.

— აბა, მუჭით ამომაწოდე!

თამაზმა ქვევრიდან მუჭა ამოყო და ჩემსკენ გამოიშვირა.

— ჭუჭყიანია, უნდა გამოვცვალოთ.

ამოვრეცხეთ ერთი ხელი, ამოვრეცხეთ მეორე, ამოვრეცხეთ მესამე ხელი და წყალი ისეთი ამოვიდა, რომ დაილეოდა.

— ჩემი აზრით, რეცხვა ეყოფა! — ჩავძახე მაღლიდან.

— მეც ასე მგონია. — ამომძახა სიხარულით.

— აბა ახლა მაწაწურს მოგაწვდი, კარგად მოამშრალე და ამოდი!

თამაზს საგანგებოდ გარეცხილი სუფთა ტილო ჩავუგდე. მან ქვევრს სწრაფად მიუსვ-მოუსვა ტილო და უკან-

ვე ამომაწოდა. სველი ტილო მაგრად გავწურე და ისევ უკან ჩავუდე. მან ისევ მოუსვ-მოუსვა კედლებზე, ფილიკე ამოუშინაწილა ქვევრს და ისევ ქომაწოდა.

— ცოტა წყალი კიდევ ჩამომისხი. ფილი კარგად უნდა მოვიურეცხო.

ცოტა წყალიც ჩავუსხი და, როცა ორჯერ-სამჯერ კიდევ ჩავაწოდე ტილო და ამომაწოდა, ჩავაწოდე და ამომაწოდა, სამმეც მოთავდა და დედაჩემიც გამოჩნდა.

— აბა მოგშვებდა, დედა გენაცვალოს?

— მომშვიდა. აი, თამაზიც ამოვა და ვიქეიფებთ. ნახე, კაკლები დავამტკრიე.

— ორიოდე კაკალი ძლივს მოუგონგორავებია და რად გიტტებე, შვილო?

— აბა უშავს რა, მაგათ ბევრი კაკალი უდგათ. არა, თამაზ?!

— მაშ, რა! — მიპასუხა თამაზმა და თან ქვევრის პირებზე ხელების დაბჯენით მარჯვედ ამოხტა მაღლა.

დედაჩემმა ხელახლა დაამანინა ფეხები და გვითხრა:

— ახლა კი წამოდით და ვისადილოთ.

— ჩვენ არსად არ წამოვალთ. თუ რამეა, აქ მოგვიტანე, — ვუთხარი მე. — მარანში უნდა ვიქეიფოთ.

— მაგიდა რომ არ არის აქ?

— დიდი სკამი მაგიდა იქნება, პატარა სკამებზე კიდევ ჩვენ დავსხდებით. ერთი სიტყვით, მოკახრიხებთ როგორმე.

დედაჩემმა სკამი გამოიტანა. ზედ ჩაის ტილო გადაფარა. ტილოზე შოთები დაიწყო. მერე დოქი და შემწვარი ქათამი შემოიტანა, პაპიდორი გარეცხა, ხახვიც მოიტანა, ჭიქებიც. ჩვენ კიდევ ჩემი გარჩეული ნიოფი გამოვაჩინეთ და... მე და თამაზი სუფრას მიეუსხედით.

— აბა, ახლავე შევთანხმდეთ, — ვუთხარი თამაზს, — მე სადღეგრძელოს ვიტყვი და ღვინოსაც დავლევ, შენ სადღეგრძელოს იტყვი და ღვინოს არ დალევ.

თამაზმა გულიანად გადაიხარხარა:

— ეგ რაღა ქეიფი გამოვა? თუ სადღეგრძელოს ვიტყვი, ღვინოც უნდა დავლიო.

— დათვრები.

— ვიხეშრობ, გიგა ძიავ, განა მართლა დავლევ!

შემწვარი ქათამი გავწიეთ და გამოვწიეთ; კიტრი და პამიდორიც გეახელით. შემდეგ ჭიქა ავიღე და ვთქვი:

—ამ ჭიქით ჩვენს პაპებს გაუმარჯოს! ხომ კარგი სადღეგრძელოა?

— კარგია! — თქვა თამაზმა, — პაპას გაუმარჯოს!

— მარტო შენს პაპას კი არა, ჩემს პაპასაც. — შევუსწორე სიტყვა.

დავლიეთ. უფრო სწორად, მე დავლიე, თამაზმა კი ჭიქას აკოცა.

ქეიფი განა მარტო ღვინის სმაა! ქეიფი — ლხინი და სიხარულია.

—ახლა ის მიამბე, გიგა ძიავ, პაპა რომ ქვევრებს გარეცხინებდა.

— მაგაზე ადვილი რა არის! ჩამოვედი ერთხელ სკოლიდან. ვაკიხედე და ბიძაჩემი «მეძახის: „გიგლაა!“ შენთვის რომ გიგა ძია ვარ, მისთვის გიგლა ვიყავი: ისე მიყვარდა, რომ... ჰოდა, ბიჭი ხარ და ბიძაშენის დაძახებაზე ნუ წუხავ! წავედი. მივედი და რას ვხედავ: ცამეტჩაფიანისთვის გადაუხდია და ფეხდგომელი ხან ერთ მხრიდან ჩაჰპურებს და ხან მეორედან.

რა გინდა, ძიავ-მეთქი.

რა მინდა და, ქვევრში უნდა ჩახვიდე და გარეცხოო.

— ცამეტჩაფიანში?! ე! — გაიკვირვა თამაზმა.

— ჰო, ცამეტჩაფიანში. შენოდენა კი არ ვიქნებოდი, მე უფრო პატარა ვიყავ მაშინ. ჰოდა, გამიხარდა, ისე გამიხარდა, ვერ აგიწერ.

— მეც გამიხარდა, წელან რომ დამიძახე.



— ვიცი. ჰოდა, ჩავედი ცამეტჩაფიანში და დავუწყე რეცხვა. ბიძაჩემი კი თავზე დამადგა და მაღლიდან მასწავლიდა.

— რას გასწავლიდა?

— იმას, რაც წელან მე გითხარი: კრაზანა ორმად ჩაუშვი წყალში და მერე უცებ ამოუსვი, რომ ბევრი წყალი ამოატანინო; რეცხვა მაღლიდან დაიწყე და მერე თანდათანობით ძირს ჩაუყვეო.

— სულ ეგ გასწავლა?! ეგ ხომ მეც ვიცი!

— როდის ისწავლე?

— წელან.

— ჰოდა, რაც ბიძაჩემისაგან ვისწავლე, მეც ის გასწავლე, მეტი კი არაფერი.

ჭიქა შევივსე. თამაზი ძალებიანად ახრამუნებდა ქათმის ფრთას და თან ფულისყურით მისმენდა.

— კიდევ... კიდევ რა გასწავლა პაპამ?

— ბევრი რამ.

ჭიქა ხელში ავიღე, ნიკაპზე თითი ხერხივით გავისვამოვისი და ახალი სადღეგრძელოს თქმა დავაპირე.

— აბა, ისიც მიამბე, გიგა ძიავ, თივის დადგმა როგორ გასწავლა.

— ეგეც ადვილი სამსახურია, — ვუპასუხე და ჭიქის დაუდგმელად განვაგრძე: — როგორც კი ზაფხული დაიწყებოდა, ბიძაჩემი ყოველ საღამოს ბალახს ეზიდებოდა. დღისით კოლტეხეურნეობაში მუშაობდა, საღამოთი ამოიკლიდა, გზის პირებში გამოთიბავდა ბალახს, აკეიდებდა სახეიარს და მოპქონდა. მერე ეზოში გიფენდა იმ ბალახს, გააშრობდა და ერთ მშვენიერ საღამოს ფაქიძახებდა: „გიგლაა!“

— ღვინო გეღვრება, გიგა ძიავ!

აყიროავებულ ჭიქას ხელში ვისწორებ და ისევ განვაგრძობ:

— მე ჯერ აიენიდან გავაგონებდი და, როცა მეტყოდა, ჩემთან ჩამოდიო, ჩავირბენდი კიბეს და ერთ წუთში მასთან გავჩნდებოდი.

— მეც ხომ ჩამოა ბევრი წელან?

— კი, ჩქარა მოხვედი. ჰოდა, ძია ჩასვამდა ნაკალარზე მაღალ სარს და თივის დადგმას შეუდგებოდა.

— შენ არ შველიდა?

— არა. სანამ ძირიდან აწევდებოდა, თვითონ ტკაბდა. მე მხოლოდ ვეუყურებდი და ვსწავლობდი. როცა ცოტა წამოამაღლეურებდა და სარს ნახევარზე ზემოთ აცდენდა, მაშინ შემსვამდა ხოლმე ჭალაკზე. აბა, ახლა შენ მოგაწვდი და შენ დადგიო. ფიწლით რომ თივის თალაშს მომაწვდიდა, თვითონ განზე გადგებოდა და ბასწავლიდა: აი, ცოტა შიგნით შესწიე თალამი, ცოტა გარეთ, ცოტა ოქმთ, ცოტა აქეთო...

— ღვინო გეღვრება, გიგა ძიავ!

ჭიქას ხელში ვისწორებ და ისევ განვაგრძობ:

— მერე, თანდათან რომ ამაღლდებოდა თივა, სარს მაგრად მოეკიდეო, მეტყოდა. მეც ტკიპივით მივეკვრებოდი სარს და ფეხებქვეშ ხელით ვიჭუჭუნავდი თივას. სარი აქეთ-ოქთ ქანაობდა და მეც ესე ვირაყიდით...

— ღვინო გეღვრება, გიგა ძიავ!

— ჰო, ვიცი... ვირყეოდი ავსე და მეშინოდა, ან ახლა მოიგლიჯება სარი და ან ახლა-მეთქი, მაგრამ ბიძაჩემი დაბლიდან მანუგეშებდა: სარს მაგრად მოეკიდე და, ნე გეშინია, არ მოგიტყდება, შვინდიანია მოჭრილი. აბა, აეს, პატარა კონა სარის წვერზე ჩამოაგდ და ქერე აიმ თოკს ამოგიგიდე, მოგიღლუქე და ჩამოცურდიო.

— რომ მოგლეჯოდეს?

— სარი ხომ ბიძაჩემის ჩასმული იყო და რანაირად მოიგლეჯებოდა!

— მართალია. პაპაჩემი ყველაზე ყოჩაღი იყო. მოდი, პაპა ვადღეგრძელოთ!

— ვადღეგრძელოთ, მაგრამ პაპების სადღეგრძელო ჩვენ უკვე დავლიეთ და ახლა იეი, როგორ მოვიქცეთ?.. მოდი ჩვენს ბიძეებს გაუმარჯოს! მამებთან ერთად ისინიც გვზრდიდნენ. არც მათ აფიწყებდოდათ თაეიანთი ბიძეები და ნურც ჩვენ დავივიწყებთ.

— გაუმარჯოს!.. შენს ბიძას გაუმარჯოს და ჩემს ბიძას გაუმარჯოს!

— ჩვენს ბიძეებს გაუმარჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა ეგვიპტის არქიტექტურა

თინათინ ჩიჩუა,
არქიტექტურის კანდიდატი.

ძველ სოფლიოს ხალხთა არქიტექტურის საგანძურში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი არქიტექტურული მემკვიდრეობა ძველმა ეგვიპტელებმა დაგვიტოვეს, რომლებმაც 5200 წლის წინათ მდინარე ნილოსის აუზში დიდი მონათმფლობელური, დესპოტური სახელმწიფო შექმნეს.

ძველი ეგვიპტის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოიცავს. მისი ძირითადი ეტაპებია: 1. უძველესი პერიოდი (მე-4 ათასწლეული ჩვ. წ.-მდე); 2. ძველი სამეფო (32-25 საუკუნეები ჩვ. წ.-მდე); 3. შუა სამეფო (21-18 საუკუნეები ჩვ. წ.-მდე); 4. ახალი სამეფო (16-12 საუკუნეები ჩვ. წ.-მდე) და 5. გვიანდელი პერიოდი (11 საუკუნე — 332 წ. ჩვ. წ.-მდე).

საერთოდ, არქიტექტურა თავისი სტილისტური ჩამოყალიბებისას ყოველთვის არეკლავს ამა თუ იმ ეპოქის სახეს, მის თავისებურებებს. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ეგვიპტური არქიტექტურა. მას მეტად დამახასიათებელი ნიშანთვისებები მოეპოვება, რითაც ის სხვა ქვეყნების არქიტექტურისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეგვიპტის არქიტექტურა ვრცელასაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ხშირად იცვლიდა სახეს; იცვლებოდა ცხოვრებისეული მოთხოვნილებები, არქიტექტურის მიმართ, იცვლებოდა ნაგებობათა ტიპებიც, არქიტექტურული ფორმები და ხერხები. მაგრამ ამ ცვლილებებს ყოველთვის თან ახლდა წინა პერიოდში ჩამოყალიბებული არქიტექტურული ტრადიციების გამოყენება და ახალი ეპოქის შესაბამისად მათი ახლებურად დამკვიდრება.

ეგვიპტე ძალიან მდიდარი იყო სხვადასხვა ჯიშის ქვით. სამშენებლო საქმეში ქვა ფართოდ იყო გამოყენებული. მან ადრიდანვე შეცვალა ხე — გარედან შემოტანილი და ძვირადღირებული მასალა. ყველა მნიშვნელოვან მონუმენტურ ნაგებობას ქვისგან აშენებდნენ, მასობრივ (ძირითადად, საცხოვრებელ) მშენებლობაში კი ფართოდ იყენებდნენ მზეზე გამომშრალ თიხას — ალიზს და ლერწამს.

ძველ ეგვიპტელებს ქვის მოპოვების პრიმიტიული ტექნიკა ჰქონდათ. ქვის ბურღით ამოღებულ ნახვრეტში ხის სოლის ჩასმითა და წყლის ჩასხმის საშუალებით ჩამოტეხავდნენ ხოლმე დიდ ლოდებს. ადგილზევე შავად დამუშავების შემდეგ ეს ლოდები ხის საგორავებით, პირუტყვის, უფრო ხშირად კი ადამიანების ძალით გადაჰქონდათ მშენებლობის ადგილას, სადაც მათ საბოლოოდ დაამუშავებდნენ.

ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდის მონუმენტურ არქიტექტურაში სამარხი ნაგებობების ტიპი იყო გაბატონებული. ამ გარემოების გასაგებად იმდროინდელი ცხოვრება უნდა გავიხსენოთ. ძველი ეგვიპტელის წარმოდგენით, ადამიანის სული არა კვდებოდა, იგი მხოლოდ სხვა ქვეყანაში, საიქიოში გადადიოდა და იქ მეორე ცხოვრებას იწყებდა. ამიტომ მიცვალებულის დაბალზამებულ გვამს — მუმიას სარკოფაგში ასვენებდნენ და მეორე ქვეყნისათვის საცხოვრებელ სახლს უშენებდნენ. ასეთი სამარხი ნაგებობებიდან ბევრმა მოაღწია ჩვენამდე. მათ მასტაბებს უწოდებენ. მასტაბა ქვის ნაგებობაა და ორი — მიწისზედა და მიწისქვეშა — ნაწილისაგან შედგება. მიწისქვეშა ჭისმაგვარ ნაწილში სარკო-



„ᲖᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲗᲔᲒᲡ ᲛᲝᲜᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲒᲔᲜ... ᲐᲮᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲡᲬᲕᲓᲔᲒᲐ ᲛᲐᲗ, ᲐᲖᲠᲘ ᲫᲚᲘᲕᲡ ᲐᲚᲘᲫᲕᲐᲛᲡ... ᲪᲓᲘᲚᲝᲛᲒ, ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲠᲐ ᲫᲐᲚᲐᲛ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲐ, ᲓᲐᲐᲮᲕᲐᲕᲐ, ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲐ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲑᲘ“...—ᲐᲡᲔ ᲐᲚᲬᲔᲠᲡ ᲒᲘᲖᲐᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲔᲑᲘ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲣᲛᲫᲐᲠᲘ.

ფაგს დგამდნენ, რის შემდეგაც ჭას ამოქოლავდნენ. მიწისზედა ნაწილი კი მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სამლოცველო იყო. მასტაბის შიგნითა კედლები მიცვალებულის ცხოვრების ამსახველი რელიეფებითა და მოხატულობით იფარებოდა. აქვე ცრუ კარიც კეთდებოდა, საიდანაც, ეგვიპტელების წარმოდგენით, მიცვალებულის სული — კა გამოდიოდა ხოლმე. გარედან მასტაბას წაკვეთილი პირამიდის ფორმა ჰქონდა. ამ ფორმის გამო უწოდეს არაბებმა მასტაბა ძველ ეგვიპტურ სამარხებს, რომლებიც მათ თავიანთი სახლების წინ მდგარ ალიზის სკამებს აგონებდათ.



ქალაქი კახუნი. ალიზის გალავანს ორი კარი ჰქონდა; ერთიდან მონათა დასახლების მთავარი ქუჩა იწყებოდა (მარცხნივ), მეორედან კი — ქუჩა დიდებულთა სახლებისაკენ.

რა თქმა უნდა, მონათმფლობელურ კლასობრივ საზოგადოებაში მასტაბების აგება მხოლოდ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს შეეძლოთ. ქვეყნის მმართველის — ფარაონის მასტაბა ყველაზე დიდი და ლამაზი უნდა ყოფილიყო. ძველი სამეფოს პერიოდში ფარაონების ძალის გაძლიერებამ, მათი სახელისა და როლის უსაზღვრო განდიდებამ სამარხების უზარმაზარი მასშტაბები განაპირობა.

დღევანდელი ეგვიპტის დედაქალაქ



ხუფუს პირამიდის ჭრილი.

ქაიროს მახლობლად, სოფელ გიზასთან, შემორჩენილია ძველი სამეფოს პერიოდის ფარაონთა სამარხი ნაგებობის ჯგუფი, რომელიც დღეს გიზას ანსამბლის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ არქიტექტურულ ანსამბლში სამი დიდი სამარხი ნაგებობა, სამი ფარაონის პირამიდაა აღმართული: ხუფუს, ხაფრას და მენკაურასი, ანუ ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინისა, როგორც მათ ბერძნები უწოდებდნენ. ამ პირამიდების ირგვლივ უამრავი მასტაბა — მეფის კარის დიდებულთა სამარხია განლაგებული. ასე რომ, პირამიდებისა და მასტაბების დიდი ჯგუფი, განლაგებითა და ქუჩებით, მთელ განაშენიანებას ქმნის. ეს მკვდართა ქალაქი ანუ ე. წ. ნეკროპოლისია.

გიზას ანსამბლში ყველაზე დიდი სამარხი ხუფუს პირამიდაა. იგი კლასიკური მაგალითია ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდის არქიტექტურული სტილისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გიგანტური ზომები, მასიურობა, გეომეტრიზმი და, რაც მთავარია, ჩვეულებრივი ადამიანის დამაკნინებელი შთაბეჭდილება. მაშინ ხომ გაბატონებული იყო აზრი, რომ ფარაონი მზის ღმერთის — რას შვილი იყო, დედამიწაზე მოვლენილი, და ამდენად — უზენაესი პიროვნება, ზეკაცი. ასეთივე ზეშთამბეჭდავი იყო მისი ვეებერთელა სამარხიც.

ხუფუს სამარხს სწორი, გეომეტრიული პირამიდის ფორმა ჰქონდა და 2 521 000 კირქვის ბლოკისაგან აგებული მასიური ნაგებობა იყო. პირამიდა გარედან თეთრი კირქვის გაპრიალებული ფილებით გახლდათ მოპირკეთებული. მისი სიმაღლე 146,59 მეტრს უდრიდა, ფუძის პერიმეტრი კი ერთ კილომეტრამდე აღწევდა. დღეს პირამიდის წვერი მონგრეულია და მისი სიმაღლე 137 მეტრამდეა შემცირებული. გარედანაც შესამოსელი შემოცლილი აქვს. პირამიდის შუაგულში სამარხი სათავსია, სადაც ფარაონის სარკოფაგი იდგა.

პირამიდაში კიდევ ორი ოთახია. მკვლევართა ფიქრით, ერთ მათგანში დედოფლის სამარხი სათავსი უნდა ყოფილიყო. განსაცვიფრებელია, რაოდენ სრულყოფილად არის შესრულებული სამარხი ოთახებისაკენ მიმავალი გზების ერთი მონაკვეთი, ე. წ. „დიდი გალერეა". ერთი არაბი მწერლის ცნობით, „გალერეის" გადახურვის ქვები ერთმანეთთან ისეთი სიზუსტით არის მიყენებული, რომ მათ შორის თმის ბეწვსაც ვერ გაატარებთ.

გასაოცარია იმდროინდელი პრიმიტიული ტექნიკის დროს ასეთი გიგანტური სამშენებლო სამუშაოს შესრულება. ეს მონათა უზარმაზარი რაოდენობის უბრალო კოოპერირების გამოყენებით აიხსნება. მონათა ვეებერთელა არმია, რომელსაც, ერთი ეგვიპტური პაპირუსის ტექსტის თანახმად, მარტო წყალს, პურსა და ხახვს ურიგებდნენ, შეესეოდა სამუშაოს და მთელი მისი შრომისუნარიანობა და დრო მხოლოდ პირამიდების ასაშენებლად იყო გამოყენებული. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V ს. ჩვ. წ.-მდე) მოგვითხრობს, რომ მარტო ხუფუს პირამიდისათვის ქვების გადმოსატანი გზის გაყვანას ათი წელი მოუნდნენ. ასეთივე შრომატევადი და მარტივი ხერხით — მიწაყრილების საშუალებით აჰქონდათ ქვები პირამიდის წყობისათვის დიდ სიმაღლეზე. მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ვეებერთელა მიწაყრილის ხელახალი მოთხრა და გადაყრა იყო საჭირო. ხშირად პირამიდის აგებას ფარაონის სიცოცხლეში ვერ ასწრებდნენ და მას მისი მემკვიდრეები ამთავრებდნენ. ასე ასახა არქიტექტურამ ძველი ეგვიპტის დესპოტური სახელმწიფოს წყობილების არსი.

ფარაონის სულის მოსახსენიებლად პირამიდების ძირში ტაძრები ყოფილა აგებული. ასეთი ტაძარი ფარაონ ხაფრას პირამიდის ძირშია შემორჩენილი. მას გრძელი დერეფნის საშუალებით წინ წამოწეული შესასვლელი დარბაზი გააჩნდა. აქვე იყო მთლიანი კლდისაგან გამოკვეთილი ე. წ. „დიდი სფინქსი". სფინქსი ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში დამახასიათებელი სახეა. იგი მრგვალი ქანდაკების სახით სრულდებოდა, რომელსაც ლომის ტანი და ფარაონის თავი ჰქონდა (იყო ცხვრისთავებიანი სფინქსებიც). სფინქსი ფარაონის გავლენისა და ძალის ისეთივე დამამკვიდრებელი და

უკვდავმყოფელი იყო, როგორც სამარხი ნაგებობა—პირამიდა. გიზას სფინქსი გიგანტური ზომისაა: სიმაღლე 20 მეტრს უდრის, გაწოლილი ლომის ტანის სიგრძე კი — 60 მეტრს. თავისი მასშტაბითა და განზოგადებული ფორმებით იგი შესანიშნავად ერწყმის გიზას ნაგებობებს და არქიტექტურისა და მრგვალი ქანდაკების ერთიანობის საუკეთესო მაგალითია.



ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲐᲮᲣᲜᲨᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲝᲗᲮᲡᲕᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲝᲗᲐᲮᲘᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ — ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲖᲝ, ᲖᲔᲕᲘᲗ ᲙᲘ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲔᲖᲝ, ᲔᲠᲗᲜᲘᲠᲘᲒᲐᲓ ᲩᲐᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘᲗ.

შუა სამეფოს პერიოდის არქიტექტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია ნამარხი ქალაქი კახუნი. ეს ქალაქი ფარაონ სენუსერტის დროს, საირიგაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, მოკლე ხანში აუშენებიათ. შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მიუტოვებიათ, უდაბნოს ქვიშას დაუფარავს და მხოლოდ გათხრებმა გამოამზეურეს ეს მდიდარი მასალა ძველი ეგვიპტის ქალაქმშენებლობისა და საცხოვრებელი არქიტექტურის შესასწავლად. კახუნს 10 ჰექტარი ფართობი სჭერია და გარს ალიზის გალავანი ჰქონია შემოვლებული. ქალაქი ასეთივე ყრუ კედლით ორ უთანაბრო ნაწილად ყოფილა გაყოფილი, რომელთაც დამოუკიდებელი შესასვლელები ჰქონიათ. ქალაქის მცირე ნაწილი, სადაც საირიგაციო სამუშაოებში დასაქმებული მონები სახლობდნენ, სახლების სიმრავლით და მჭიდრო, შეტყუპული განლაგებით გამოირჩეოდა. მეორე, დიდ ნაწილში კი ფარაონისა და დიდებულთა რამდენიმე სასახლე თუ სახლი მდგარა. ქუჩების ქსელს სწორკუთხოვანი სახე ჰქონია. ქუჩები 6-9 მეტრი სიგანისა ყოფილა. ალიზით აგებული კახუნის სახლები ძლიერ დაზიანებულია. ფარაონის სასახლე ისეა დანგრეული, რომ მისი გეგმის აღდგენაც კი შეუძლებელია. სამაგიეროდ, სასახლის გვერდით მდებარე ერთ-ერთი დიდებულის სახლის ნანგრევები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი ეგვიპტური საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებითს თავისებურებებზე. უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახლი ქუჩას ყრუ კედლით ესაზღვრებოდა და მთელი ცხოვრება შიგნით, ღია ეზოში იყო გადატანილი. აქედან ნათდებოდა ირგვლივ განლაგებული ოთახები. მთავარი შესასვლელიდან ღია, გრძელი დერეფნით სვეტებიან ეზოში და მთავარ ოთახებში შედიოდნენ. მთავარი შესასვლელის მარცხნივ და მარჯვნივ კი სამეურნეო დანიშნულებისა და შინამოსამსახურეთა ოთახების ჯგუფი ყოფილა მოთავსებული. ოთახების შიგნითა კედლები შეთეთრებული და მოხატული იყო.

უკვე შუა სამეფოს პერიოდში პირამიდების მშენებლობა თანდათანობით კარგავს გაბატონებულ მდგომარეობას, მის გვერდით იზრდება არქიტექტურულ ნაგებობათა სხვა ტიპის — ტაძრების მნიშვნელობა. ეს ქურუმთა გავლენის ზრდის შედეგი იყო. განსაკუთრებით გაძლიერდა მზის ღმერთის ამონრას კულტი, რომლის პატივსაცემად უამრავი ტაძარი შენდებოდა. შუა სამეფოს მიწურულიდან ფარაონის მუმიას კლდეში ნაკვეთ სამარხებში ან მიწისქვეშა აკლდამებში მარხავდნენ. მიწისზედა გრანდიოზული სამარხების მშენებლობა ასეთივე გრანდიოზული ტაძრების მშენებლობამ შეცვალა. ახლა ფარაონების საამშენებლო საქმიანობის მთელი ყურადღება ტაძრებზეა გადატანილი, რომელიც იმავე პოლიტიკას — ფარაონის განდიდების და უკვდავყოფის იდეას ემსახურება. ამიტომ, ხშირად ტაძრები მარტო ღმერთებისადმი კი არ იყო მიძღვნილი, არამედ გაღმერთებული ფარაონებისადმიც. ეგვიპტის ტაძრები მრავალი წლის, ზოგჯერ კი საუკუნეების მანძილზე შენდებოდა ხოლმე და, ყოველი ახალი სამშენებლო ეტაპი გარკვეულ ცვლილებას, საერთო ამოცანისადმი ინდივიდუალურ შემოქმედებითს მიდგომას მოითხოვდა. არქიტექტურულ გადაწყვეტათა ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, ეგვიპტურ ტაძრებს ერთიანი დაგეგმარებითი პრინციპი, ერთიანი სქემა ედო საფუძვლად. ტაძრები დიდი ზომებითა და სათავსთა სიმრავლით გამოირჩეოდა და ერთ გრძივ ღერძზე ანფილადურად* განლაგებული ნაწილებისაგან შედგებოდა. ტაძრის პირველ წინა ნაწილს ყრუ, მასიური და მაღალი კედლები — პილონები

* ანფილადა — ოთახების მწკრივი, სადაც ყველა შუაკარი ერთმანეთის პირდაპირაა.



ᲚᲣᲥᲡᲝᲠᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ. ᲦᲘᲐ ᲔᲖᲝᲡ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘ ᲞᲐᲞᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ.



კარნაკი. ამონის ტაძრის ჰიპოსტილური დარბაზი. ცენტრალურ, განათებულ ნაწილში სვეტისთავები პაპირუსის გაშლილ ყვავილს მოგვაგონებენ, გვერდით, შედარებით ჩაბნელებულ ნაწილებში კი — გაუშლელ კოკორს (პაპირუსის ყვავილი დღე იშლება, ღამე კი დახურულია).

წარმოადგენდა. ეს კედლები გარეთა სივრცესა და ტაძრის შიდა ნაწილებს შორის ერთგვარი ზღუდარის როლს ასრულებდა. პილონებს ტრაპეციის ფორმა ჰქონდათ და ერთმანეთთან შესასვლელი კარით იყვნენ დაკავშირებული. პილონების სიმაღლე ზოგჯერ 45 მეტრს აღწევდა. მათი ზედაპირი ფარაონის ცხოვრებისა და საომარი საქმეების ამსახველი რელიეფებით იყო დაფარული. პილონების წინა მისადგომები ფარაონის ვეებერთელა ქანდაკებებითა და ობელისკებით იყო დამშვენებული. აქეთკენ ქვით მოფენილი საპროცესიო გზა მოემართებოდა, რომლის ორივე მხარეს, კილომეტრებზე გაჭიმული, სფინქსების ხეივანი საზღვრავდა. პილონების შემდეგ ღია, ირგვლივ სვეტებშემოვლებული ანუ პერისტილური ეზო იყო, შემდეგ — დახურული, მრავალსვეტიანი, ანუ ჰიპოსტილური დარბაზი, ბოლოს კი — საკურთხევლის სათავსი, წმიდა ცეცხლითა და საკულტო ქანდაკებებით. საკულტო ოთახის ირგვლივ სამომსახურებო დანიშნულების ოთახები იყო შეჯგუფული. როგორც ვხედავთ, ტაძრის დაგეგმარებითი კომპოზიციური ხერხები მიზნად ისახავდა ღია, განათებულ სივრციდან, სფინქსების ხეივნისა და პილონების გავლით, შემოზღუდულ და მეტნაკლებად განათებულ ტაძრის ნაწილებში თანდათანობით გადასვლას. ეს ხერხები იმ დროის მთავარ ამოცანას — ადამიანზე რელიგიური ზეგავლენის, ექსტაზის შექმნას ისახავდა მიზნად. ამ მიზანსვე ემსახურებოდა, აგრეთვე, არქიტექტურული ფორმების სახე და მასშტაბი, კედლებსა თუ სვეტების ზედაპირზე ამოკვეთილი უამრავი ქანდაკება და რელიეფი. ამიტომ ეგვიპტური ტაძარი არქიტექტურის ფუნქციური მხარის გაგებისა და სრულყოფილი გადაწყვეტის შესანიშნავი მაგალითია.

ეგვიპტის ახალი სამეფოს პერიოდის ბრწყინვალე ძეგლებია ძველი ეგვიპტის დედაქალაქ თებეში აგებული ამონის ტაძრები (ადგილმდებარეობის დღევანდელი სახელწოდებების მიხედვით — ლუქსორისა და კარნაკის ტაძრები). ამ ტაძრებს, ხანგრძლივი მშენებლობის შედეგად, პილონების რამდენიმე რიგი და რამდენიმე პერისტილური ეზო გააჩნიათ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კარნაკის ტაძრის ჰიპოსტილური დარბაზის არქიტექტურული გადაწყვეტა. ეს დარბაზი ეგვიპტური არქიტექტურის შედევრი გახლავთ. იგი 103×52 მ ზომის, 16-რიგად განლაგებულ 144-სვეტიან დარბაზს წარმოადგენდა. მისი ცენტრალური ნაწილი გვერდითა ნაწილებზე რვა მეტრით მაღალი იყო და 20 მეტრი სიმაღლის სვეტებზე მოწყობილი მისი ბადახურვა, ცის იმიტაციით მოხატული, ქვევიდან მაყურებელს ჰაერში გამოკიდებული ეჩვენებოდა. სვეტების სისქე 3,4 მ იყო, მათ შორის მანძილიც — თითქმის ამდენივე. ტყესავით ხშირსვეტებიანი დარბაზის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა სვეტებზე ამოჭრილი რელიეფების კონტურებში ჩასხმული საღებავების ფერებისა და რელიგიურ პროცესიათა მაშხალების ალის თამაში.

ლუქსორის ტაძრის ჰიპოსტილური დარბაზი კი დაუმთავრებელი დარჩენიათ და კოლოსალური სვეტების მხოლოდ ორი მწკრივის აშენება მოუსწრიათ. სხვათა შორის, ლუქსორის ტაძრის პილონების წინ მდგარი ვარდისფერი გრანიტის ორი ობელისკიდან ერთი ნაპოლეონს პარიზში ჩამოუტანია და დღეს თანხმობის მოედანს ამშვენებს. აღსანიშნავია ლუქსორის ტაძრის ღია ეზოების სვეტები, რომლებიც ქვის არქიტექტურულ ფორმებში მცენარეული მოტივების გამოყენების მაგალითია. ისინი პაპირუსის კონას მოგვაგონებენ. ამ ტაძრებს, რომელთა განვითარება გრძივი ღერძის გასწვრივ წარიმართა, გრანდიოზულ, მიწაზე გაწოლილ ნაბობათა სახე ჩამოუყალიბდათ. მაგალითად, ლუქსორის ტაძრის სიგრძე 260 მეტრს აღწევდა.



მთვარის ღმერთის — ხონსუს ტაძარი კარნაკში. პერსპექტიული ჭრილი ეგვიპტური ტაძრის ნაწილების განლაგების სქემას გვიჩვენებს.

ახალი სამეფოს პერიოდიდან აღსანიშნავია აგრეთვე სეთი I ტაძარი абიდოსში, რამწეს III ტაძარი მედინეთ-აბუში და კალდენი ნაკვეთი ტაძრები აბუ-სიმბელში. ფერადფრაზს იქცევს ის ფაქტი, რომ აბუ-სიმბელის დიდი ტაძარი ოფმა მთლიანად კლდეში იყო გამოკვეთილი, მაგრამ ტაძრის დაგეგმარებითი ტრადიცია — ნაგებობის ღია ცის ქვეშ, დედამიწის ზედაპირზე გამენებით ჩამოყალიბებული — მთლიანად იყო განშეორებული კლდის ნიღრმეში. კლდის გარეთა ზედაპირზე კი ტრაპეციის ფორმის, პილონის შემცველი სიმრტყე იყო ამოკვეთილი. მის წინ ფარაონ რამწეს II კოლოსალური (20 მ) 4 ფიგურა იდგა. ამ ბოლო ხანებში ეს ტაძარი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დადგა ასუანის წყალსაცავის აშენებით გამოწვეული საფრთხის გამო. ტაძარი ნაწილ-ნაწილ დაჭრეს და სხვა ადგილას გადაიტანეს. მისი აწყობა უკვე დასასრულს უახლოვდება.

ამგვარად, ეგვიპტური არქიტექტურის, ძველი სამყაროს ამ ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი და თვითმყოფადი ხუროთმოძღვრების სტილის დამახასიათებელი ნიშანთვისებებია: ნაგებობათა გრანდიოზული ზომებისაკენ მისწრაფება, ბაყაყნული, სტატიკური არქიტექტურული ფორმები, აშკეე დროს, ძალისა და სიმძიმის შთამბეჭდოლება, რომელსაც ფორმების განზოგადება (მოცულობის წერილად დანაწევრების უგულვებელყოფა) უწყობდა ხელს, დაგეგმარებითს ხერხებში ნათელი, ეკონომიური უბრალოება და ძირითადი სიმეტრიული კომპოზიციების გამოყენება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგვიპტური არქიტექტურის დამოკიდებულება ბუნებისადმი. ნაგებობებს ვარეშომცველ ლანდშაფტზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. მაგალითად, ჯიზას პირამიდები დიდ მანძილზე უდაბნოს ბეიზაკის განმსაზღვრელი მოცულობებია.

ხელოვნების სხვადასხვა დარგის ერთიანობაში — სინთეზში არქიტექტურა მთავარ როლს ასრულებდა. ხელოვნების სხვა სახეები — ფერწერა, ქანდაკება — მასზე იყო დამოკიდებული და ურთიერთგანსხვისა და მაგალითი ერთიანობის გასაოცარ ეფექტებს აქმნიდა.

მონუმენტური და ზვიადი, ძლიერი და პომპეზური იერის მქონე, მონაბმდლობელეურ-დესპოტური სახელმწიფოს პირმშო — ძველი ეგვიპტის არქიტექტურა ამ სახელმწიფოს ძირითადი არსის ამსახველი და გადმომცემი იყო.

მორის ქანი

ნახატები
გ. და ვ. კარავაევებისა.

ეკვეთ ანა განძეული

მოთხრობა

ერა, ფარფუნე თავის განძეულს არც მღვიმეში მარხავს და არც სკვერში მალავს (გამოქვაბული რომ ჩამოინგრეს ან სკვერის გასაღები დაიკარგოს, მერე რას შერვნიან?!). არა, ფარფუნე ქვეყანაა კაცია. თავისი განძეული ყოველთვის თან დაეკვს შარვლის ჯიბეებით. ცხადია, თვითოსვე მიხვდებით, რომ ეს უბრალო ჯიბეები როგორა. ისინი ისეა გატენილი, სადაც არის შუაზე გაფეზრილნი.

— ჯიბეები კი არა, სატვირთო მანქანაა. — ბუზღუნებს ძაძა.

— ეს ბიჭი კი არა, შარლიანი საწყობია. — ჯავრობს დედა.

მაგრამ, მოდი ენახოთ, რა უწყვია ფარფუნეს თავის საქეციანოდ განთქმულ ჯიბეებში. ი, მარცხენა ჯიბის განძეულო:

სარეცხის სარეკი,
ლერსმანი,
შამპანერის საცობი,
ს

დვილად სურდო დამემართებოდა,— უთხრა მან.

ფარფუნეს გაეღიმა.

მანქანა ის-ის იყო უნდა დაძრულიყო, რომ ბიჭუნამ კაბინის კარი საჩქაროდ გააღო, ძირს ჩამოხტა და ჩაიმუხლა.

— რა დაინახე? — ჰკითხა მამამ.

ფარფუნეს მისი ხმა სულაც არ გაუგონია.

— მასწავლებელო! — შეჰყვირა ბიჭმა.

მასწავლებელი მოტრიალდა. ფარფუნეს წვიმისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, მასწავლებელთან მიირბინა და პაწაწინა, მწვანე ბაყაყი გაუწოდა.

— ეს თქვენთვის მიჩუქნია.

ფარფუნეს კმაყოფილებით ისე უბრწყინავდა თვალები, რომ მასწავლებელმა უარი ვეღარ უთხრა. მან ხელში აიყვანა ბაყაყი, სველი, ცივი... ჯერ კი შეეზიზღა, მაგრამ მაშინვე დაინტერესდა და პატარა ჩიტივით ხელისგულზე დაისვა, ავტომობილისაკენ მიბრუნდა და ბიჭუნას ხელი დაუქნია.

— გმადლობ, ფარფუნე!

თარგმნა ნ. ფურცელაძემ.





ფოტოალბომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲖᲔᲖᲔ. ᲤᲝᲢᲝᲔᲢᲘᲣᲓᲘ Შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲓᲔᲒᲘ. ᲤᲝᲢᲝᲔᲢᲘᲣᲓᲘ Გ. ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲤᲝᲢᲝᲔᲢᲘᲣᲓᲘ Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲡᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ.

ჟოსნავლეთა

პეპოჭაძეება

ქეთევან ცალუღელაშვილი,
დაბა თიანეთის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის VIII კლასი.

ერთ ზაფხულს...

მეოთხე კლასი რომ დავამთავრე, ჭიაურიდან ზვიადა პაპა გვესტუმრა. პაპაჩემი ხევსურია, ქალაქში იშვიათად ჩამოდის ხოლმე, ისიც ჩემს სანახავად. იმ ზაფხულს კი მამაჩემს სთხოვა, ბავშვი სოფელში გამატანეო. მამამ უარი არ უთხრა ზვიადა პაპას. მე ის მიხაროდა, რომ ცხენით ვიმგზავრებდი. პაპაჩემი ცხენით მოდიოდა ხოლმე.

მეორე დღეს წავედით. ცხენზე პირველად ვიჯექი და, ცოტა არ იყოს, მეშინოდა. მაგრამ არ ვიმჩნევდი, პაპაჩემისა მერიდებოდა. სანამ ქალაქს გავცდებოდით, აღვირი პაპას ეჭირა ხელში. ეშინოდა, მანქანას არ დაეფრთხო ცხენი. ქალაქს რომ გავცდით, აღვირი მე მომცა და ბაასით გავუყევით გზას.

პაპა ლელას და კვირიას ამბავს მიყვებოდა

— პაპა, ეს ამბავი მართალია? — ვკითხე, როცა ამბის თხრობა დაამთავრა.

— მართალია, შვილო, მართალი.

— ნელა, ჩაფიქრებით მითხრა მან.

მე კი თითქმის არა მჯეროდა.

ამასობაში სოფელსაც მივუახლოვდით. როდესაც ჩვენს წინ გუშაგებივით აღმართულ ამაყ მთებს შევხედე, გავიფიქრე, ასეთ ლამაზ და ზვიად მთებს მართლაც შეუძლიათ აღზარდონ ისეთი ვაჟკაცური და საშშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, როგორნიც ლელა და კვირია ყოფილან-მეთქი.

მოჯადოებული შევყურებდი ცაში აზიდულ მთებს, რომლებსაც კალთები მწვანე ბალახით და ნაირ-ნაირი ყვავილებით დაექარგათ. ნელი ნიავი ქროდა და ისე გველამუნებოდა სახეზე, თითქოს გვეფერებაო. პატარა ნაკადულები წანწკარით ეშვებოდნენ კლდეზე და ჰაერში გაფანტულ შხეფებს მზე ბროლივით აელვარებდა. ყვავილები გვიღიმოდნენ და თითქოს გზას გვილოცავენო, ისე აქნევდნენ ლამაზ თავებს. მთებს თვალი ავაყოლე და შევკრთი: თოვლით დაფარულ მთის წვერს შავი ღრუბელი შემოხვეოდა და ჭექა-ქუხილის ღმერთივით კუშტად იყურებოდა. უცბად ცხენმა ჯდე და გავაჭენო, გადმომაგდებს?

— გავიფიქრე და ცხენს ირგვლივ შეგმოვუარე. მერე ფრთხილად ავხსენი და ლოდთან მივაყენე. ავედი ლოდზე და ცხენზე შევჯექი. ნელა დავუყევი ბილიკს. ვაკეზე რომ ჩავედი, სადავე მივუშვი და ცხენს ფერდში ქუსლი ამოვარტყი. ცხენი წინ წახტა და გაჭენდა. შემეშინდა. აღვირი ხელიდან გამივარდა. მთელი ძალით ჩავეჭიდე ფაფარს და ზედ დავეკარი. დაყვირება მინდოდა, მაგრამ შიშისაგან ხმა არ მემორჩილებოდა. ცხენი კი თანდათან უმატებდა ჭენებას და ტყისკენ გარბოდა. პაპასაგან გაგონილი მქონდა, გაჭენებული ცხენი ტყეში მხედარს ტოტს მოსდებს და ჩამოაგდებსო. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და ყვირილი მოვრთე. ტყეს სწრაფად ვუახლოვდებოდი. უკანასკნელად დავიყვირე და გადარჩენის იმედიც დავკარგე. ამ დროს ჩემს გვერდით მეორე ცხენი დავლანდე. მერე ვიღაცამ ხელი ჩამავლო და...

— ნელა, ჩაფიქრებით მითხრა მან.

მე კი თითქმის არა მჯეროდა.

ამასობაში სოფელსაც მივუახლოვდით. როდესაც ჩვენს წინ გუშაგებივით აღმართულ ამაყ მთებს შევხედე, გავიფიქრე, ასეთ ლამაზ და ზვიად მთებს მართლაც შეუძლიათ აღზარდონ ისეთი ვაჟკაცური და საშშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, როგორნიც ლელა და კვირია ყოფილან-მეთქი.

მოჯადოებული შევყურებდი ცაში აზიდულ მთებს, რომლებსაც კალთები მწვანე ბალახით და ნაირ-ნაირი ყვავილებით დაექარგათ. ნელი ნიავი ქროდა და ისე გველამუნებოდა სახეზე, თითქოს გვეფერებაო. პატარა ნაკადულები წანწკარით ეშვებოდნენ კლდეზე და ჰაერში გაფანტულ შხეფებს მზე ბროლივით აელვარებდა. ყვავილები გვიღიმოდნენ და თითქოს გზას გვილოცავენო, ისე აქნევდნენ ლამაზ თავებს. მთებს თვალი ავაყოლე და შევკრთი: თოვლით დაფარულ მთის წვერს შავი ღრუბელი შემოხვეოდა და ჭექა-ქუხილის ღმერთივით კუშტად იყურებოდა. უცბად ცხენმა

ამ განყოფილებაში მოთავსებული ნამუშევრები მოგვაწოდა საქ. სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელმა ელენე გორგაძემ.

წყარო

მუხის ძირას მოჩუხჩუხებს
წყარო პაწაწინა,
მის გარშემო ყვავილებზე
მარგალიტი ბრწყინავს.
მოჩუხჩუხებს, მობუტბუტებს
მუდამ ცივი, წმინდა.
მე მის გვერდით როცა ვზივარ,
სულ ოცნება მინდა.

ნანა გრიგოლია,
თბილისის 47-ე საშუალო
სკოლის III კლასი.

კაუჰაძლარი დათუნია

საძაგელი დათუნია
საუზმეზე დავსვი,
გაიბერა, გაიბღინძა,
იჯდა, როგორც კაცი.
ჩემს თოჯინებს, პაწაწინებს,
შეუსანსლა სადილი...
გაუმაძღარ დათუნიას
ვაშიმშილებ ხვალ დილით.

ქეთევან ლეჟავა,
ქუთაისის მე-3 საშუალო
სკოლის IV კლასი.



ხარი.

მარინე ივანიშვილი,
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლის X კლასი.

ჩემი ბზვანი

ყვავილები ლამაზი,
სუფთა წყარო, ანკარა...
როგორ მიყვარს სოფელი —
ჩემი ბზვანი პატარა.
ზოგან ტირიფებია,
შეფოთლილი ლელვები,
ზოგან — თუთის ხეები,
წყალთან მდგარი ვერხვები.
სუფთა, კარგი შარაგზა,
მოქარგული სერები,
გზებზე ბროწეულები,
ღობეებთან — თხმელები.
ამ პატარა შარაგზამ
მთელ სოფელში მატარა...
მიყვარს, სულ მეყვარება
ჩემი ბზვანი პატარა.

ნანა მუჯირი,
თბილისის მე-60 საშუალო
სკოლის V კლასი.

ძაღლი საფრთხეშია.

ლევან ვარდოსანიძე,
თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის ქანდაკების წრე.

ოდი ვეჯვეროს პოეტთან

მეგი არველაძე,
ქ. ქუთაისის 31-ე საშუალო
სკოლის IX კლასი.

1960 წლის ზაფხული იწურებოდა. აგვისტომ მცხუნვარე მზით ავსო სოფელი. მოწყურებული კაციკვით გამოიყურებოდა სოფლის შარაგზა.

მიწას ცის მადლი უნდაო, — წუხდა ბაბუა; ჩვენ კი, ბავშვებს, არაფერი გვენაღვლებოდა, არხეინად ვთამაშობდით ჩრდილში და ველოდით რაღაც დიდს, საამოს და გაურკვეველს.

— სტუმრები მოდიან! — აფუსფუსდნენ ბებია და დედა. საგულდაგულოდ ვწმენდდი ჭიქებს... რა ვიცოდი, თუ იმ ერთ-ერთი ჭიქით საღეგრძელოს ის ადამიანი დალევდა, რომელიც ქართული სიტყვის ბადაგით ატკბობდა ყველას. სტუმართაგან ჩემი განსაკუთრებული ყურადღება ერთმა ჭაღარა-თმიანმა, გამხდარმა კაცმა მიიქცია. მეხსიერებაში ამოუშლელად ჩამრჩა მისი დიდებული სახე, უბრალოება. ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი სასიქადულო პოეტს სიმონ ჩიქოვანს.

ძია სიმონი თამადობდა სუფრას. იგი ფეხზე იდგა და გატაცებით ლაპარაკობდა. ბოლოს აივანზე გავიდა და ზვრებს გადახედა. სანეტარო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე...

— აქ მოდი, გოგონი! — დამიძახა მან. — ლექსი თუ იცი სამშობლოზე?

არ ვიცოდი რა მექნა და დედას გადავხედე.

— შენ ხომ იცი „ქართვლის დედა“, — თქვი, შვილო. ეს ლექსი ძია სიმონმა დაწერა.

ლექსი ვიცოდი, ავტორი კი მხოლოდ მაშინ გავიცანი. წამოვიწყე, შევჩერდი... პოეტი მომეშველა... ხმა დიდი პოეტისა დღემდე შემორჩა ჩემს სმენას.

სტუმრები წასასვლელად წამოიშალნენ, გალაკტიონის სახლის სანახავად მიიჩქაროდნენ. საყვარელმა პოეტმა, ქუთაისში მომუშავე მწერლებთან ერთად, ფეხით გაიარა სოფელ ფერეთის ორღობე.

სანატრელი სტუმრები მალე გავიდნენ სამანქანო გზაზე. იქ კოლმეურნეები შემოხვდნენ. ძია სიმონი გულთბილად მიესალმა ყველას. იმერეთის გზაზე სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. პოეტმა ქართველი გლეხკაცის საღეგრძელო წარმოსთქვა: „დღეგრძელობა მარჯვენას, რომელმაც ააღორძინა ათასჯერ მტრისაგან გათელილი ჩვენი მამული, დღეგრძელობა თქვენ, ჩვენი მოსავლის შემოქმედნო! თავიდათავი თქვენა ხართ, იკურთხოს თქვენი მარჯვენა!“ გლეხები აღტაცებული შესცქეროდნენ პოეტს, ადღეგრძელებდნენ, გზას ულოცავდნენ...

სამი წლის შემდეგ, 1963 წლის დეკემბერში, ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლამ დაბადების მე-60 წლისთავზე სიმონ ჩიქოვანს შეხვედრა მოუწყო. მე მივესალმე და სიტყვა მისი ლექსის სტრიქონებით დავასრულე:

> თუ სიყმაწვილის მოყვანა გსურდა,
> უნდა გესროლა იები მინდვრის.

მერე იების მინიატურული კალათა მივაწოდე და მისი ლექსის სტრიქონებს ჩემი გულუბრყვილოდ ნათქვამი გადავაბი:

> აჰა, იძღვენით ჩვენგან იები,
> ჩვენ სიცოცხლესაც
> გაგინაწილებთ.

მწერალმა დავით კვიცარიძემ მიმიყვანა პოეტთან. პოეტმა სიყვარულით ჩამიკრა გულში.

მერე ჭაბუკური გზნებით დაიწყო სამადლობელი სიტყვა და წაგვიკითხა ლექსი „ჩემს გაზაფხულს დავეწევი“...

მეორე შეხვედრის ეს დიდი სიხარული მალე მწუხარებამ შეცვალა. გარდაიცვალა ძია სიმონი. „ვეღარ დაეწია თავის გაზაფხულს“, მაგრამ პოეტის გულისცემა, დიდი მესიტყვის გულისთქმა ჩვენ ახლაც გვესმის.



ვარჯიში საარკის წინ. (ლინოგრავიურა).
თინათინ ჩირინაშვილი,
თბილისის 54-ე საშუალო სკოლის IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინახავს, ბევრჯერ მინახავს

შენ გინახავს სვანეთი, —
შემოსილი მწვანეთი?
რევაზ მარგიანი.

მინახავს, ბევრჯერ მინახავს
მთა — შემოსილი მწვანეთი,
მაღალი კოშკიც მინახავს,
ცად აზიდული სვანეთიც.
აჰა, ზეციდან გადმოვსცქერ
და მთის წვერსაც კი ავცილდი,
შემომცქერიან, მღერიან:
ტვიბი, ჯუეში, ლაკცილდი.
— აგერ თეთნულდი, შეხედე,
პირი რომ უჩანს მცინარე,
აგერაც შავი კლდეები,
გულზედ წყალჩამომდინარე.
აგერაც საჯიხვეები,
ცას მიბჯენილი კიდეთი,
გაბრწყინებული პირიმზე,
ამღერებული ლილეთი.

შერმანდინ ქალდანი,
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა
სახახლის ნორჩი შემოქმედი.

მესაზღვრე.

თამარ ყანდაშვილი.
თბილისის 102-ე საშუალო
სკოლის IV კლასი.

სვანი
მონადირე.

**დავით
გველესიანი.**
თბილისის
პიონერთა
და მოსწავლეთა
სახახლის
ქანდაკების
წრე.

მაგდანას ლურჯა.

ყვავილების ზეიმი

რა ლამაზად მოკაზმულა
ჩვენი ეზო-ქუჩები;
ყველგან — ნაზი ყვავილები,
ყველგან — მწვანე ბუჩქები.

დღეს ყვავილთა ზეიმია,
ფერი... ფერი... ფერები...
იებს, ვარდებს, ზამბახებს —
ყველას მივეფერები.

ნინო ხეტაგიშვილი.
თბილისის

ერთი არაგველი.

გია არაგული.
თბილისის 51-ე საშ. სკოლის II კლასი.

ვაზის ეკეკი

დიდი თოვლი მოვიდა. არე-მარემ თოვლის საბანქვეშ მიიძინა. ხეები ზეზეურად თვლემენ.

უცებ სუსხიანი ქარი ამოვარდა და თოვლის კორიანტელი დააყენა.

„ო, მცივა, მცივა!“ — იშმუშნება ახალდარგული პატარა ვაზი. ხელებს იფშვნეტს, მაგრამ მაინც ვერ გამთბარა. ერთიხანობა მზემ იმძლავრა, თითქოს დათბაო, თოვლს დელგი შეეპარა და პატარა ვაზმა სიხარულით გაიცინა: ეგონა, ზამთარი უკვე ძალას ჰკარგავსო. აბა, რა იცოდა მან, ზამთრის გასვლას რა დიდი დრო აკლდა!

მოსაღამოვდა, ყინვამ იმძლავრა და პატარა ვაზის სველ მკლავებს მარწუხები მოუჭირა; ვაზი შეცბა. „ეს რაა? აკი მზე გამობრძანდა მთელი თავისი სიდიადით, მაშ რატომ მცივა“...

მთვარე რომ ამოვიდა, ყინვამ იმატა. აკანკალებული პატარა ვაზი ატირდა, მაგრამ ცრემლები ზედვე ეყინებოდა. ბოლოს ერთიანად გათოშილს, როგორც იქნა, ჩაეძინა და გაზაფხულამდე არც გაღვიძებია.

გაზაფხულდა. თოვლი დადნა, ყინვამ თეთრი კაბის კალთები აიკეცა. მზემ იმძლავრა. გათბა მიწა, რუებმა ძველებურად იწყეს რაკრაკი, ჭიანჭველებმა თვალები მოიფშვნიტეს და მაღლა ამოვიდნენ. ჩიტებმა ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი უფრო ხმიანად იწყეს გალობა. მწვანე ბალახიც ამოიწვერა. აგერ, ყვითელმა ზიზილამ, ვენახის თავში რომ იპრანჭება ხოლმე, მხრები შეარხია, კალთა დაიბერტყა. მორცხვი და გაუბედავი ია მორჩილად ხრის თავის კოხტა თავს...

აი, მოვიდა გლეხი, მოიტანა სასხლავი მაკრატელი და ვაზებს ჩამოუარა, თან ებაასებოდა: „ჯერ შებებერო! რაო, ყინვამ ვერაფერი დაგაკლო? ის შენი შვილიც რომ კარგად არის! როგორ გამახარეთ, კარგებო! მეგონა სულ გამწირავდით, ჭიქას გამიშორობდით, სტუმარს მომაძულებდით... მაგრამ, ეს რაა, ამ ჩემს პატარას რა მოსვლია? — გლეხმა ნორჩ ვაზს მკლავები აუწია. საბრალოს წვერები მოყინვოდა. — ნუ გეშინია, ჩემო იმედო. ნახე, როგორ მოგარჩინო! — მიუალერსა მოხუცმა, მერე მაკრატელი დაადო და, „წკნაპ!“ — დამზრალი წვერები მოაჭრა: მომავალ ზამთარს ღონივრად შეხვდებიო. ია უყურებდა და ძლიერ ებრალებოდა წვერებმოჭრილი ვაზი, რომელიც ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ უკვე იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. ბერიკაცმა რომ უწინასწარმეტყველა.

ნათელა აბულაძე.
კასპის რაიონის ქვემო ჭალის საშუალო სკოლა

თოჯინები, ხევსურული ტანსაცმლით.

ნათელა გოგოჭური.
გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის IX კლასი.

ზღაპრული სკეფოში

(ნამდვილი ამბავი)

იმ დღეს ყველაფერი უცნაურად დაიწყო და ასევე დამთავრდა. ჯერ იყო და, კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მერე სწრაფად გამოიდარა. ციდან მოკისკასე მზეს ჩვენც გავუცინეთ, ხელში კალათები ავიღეთ და სოკოზე წავედით. ტყეში შესვლისთანავე დავიფანტეთ და სოკოებს ძებნა დავუწყეთ. დროდადრო აღტაცების შეძახილით თუ შევახსენებდით თავს ერთმანეთს.

ტყეში ღრმად არ შევსულვარ. კალათის ავსებას ცოტაღა მიკლდა, რომ გზიდან სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ცელქ ნაკადულს მივადექი, რომელიც გამალებით მიიჩქაროდა. მზის სხივებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ წვიმის მარგალიტების აკრეფა და ფოთლებიდან ურცხვად იჭვრიტებოდნენ. ჩიტების ჭიკჭიკი ნაკადულის რაკრაკთან ერთად ყურში ლამაზი ჰანგივით ჩამესმოდა. სავსე კალათა ნაკადულთან დავტოვე და ზევით, პატარა მდელოსაკენ ბილიკს ავყევი. უეცრად რაღაც დახშული ხმა შემომესმა, რომელიც მწუხარების ან ტკივილის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. შიშის გრძნობით გავწიე იქით, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. მალე თავზე წავადექი პატარა შველს, რომელმაც ჩვენს დანახვაზე ყურები ცქვიტა, შეტოკდა, წამოიწია, მაგრამ საცოდავს ძალა არ ეყო. მოსხლეტით დაეცა და დაიკვნესა. დიახ, ადამიანივით დაიკვნესა. ხასხასა მოლზე ჯერ კიდევ შეუმშრალი სისხლის წვეთები ბრწყინავდა. ეტყობა, დაჭრილი შველი სულ ახლახანს დაეცა არაქათგამოლეული აქ. ბევრი აღარ მიფიქრია, სწრაფად გავიძვრე ზედა მოსაცმელი, დავხიე, ამოვუსუფთავე ჭრილობა და შეძლებისდაგვარად შევუხვიე. შველმა ნუშისებური დიდრონი, წყლიანი თვალები მომაპყრო და თავი ნაზად მომადო.

ამის შემდეგ კი აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა.

„მოდი ამხანაგებს დავუძახებ, ისინიც მომეხმარებიან და შინ წავიყვან. იქ უფრო ადვილად მოვარჩენ, და შემდეგ... თავის ბედს თვითონ აირჩევს“. — გავიფიქრე გულში. დარეჯან, ვახტანგ! — ძახილით დავეშვი თავქვე, თანაც გზას ვაკვირდებოდი, რომ არ ამრეოდა. როგორც იქნა, მოვიყარეთ თავი და სულმოუთქმელად შევუდექით აღმართს.

აგერ ნაკადული! აგერ კალათაც!

ახლა... ახლა მარცხნივ და, მივალთ კიდეც!

და აი, მოვედით! უხმოდ ვიდექით ძწვანედ აბიბინებულ, გაყუჩებულ მინდორში, რომლის ხასხასა ბალახს ნათლად ემჩნეოდა ჩადენილი ბოროტმოქმედების სისხლიანი კვალი.

— ნუთუ მოგვასწრეს? ნუთუ მოკლეს?!

ისეთი ლამაზი დილაა

გაგულია ხვედელიძე.
საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის X კლასი.

ამდენს რომ გალობენ ჩიტები,
ნეტა არ ეტკინათ ყელი?!
მაგრამ, ო, ისეთი დილაა,
ო, ისე ხასხასებს ველი...
და... მივხვდი, ამდენს რად
მღერიან,
ჰოდა, მეც ვიმღერო მინდა, —
ისეთი ლამაზი დილაა,
ისეთი ჩახჩახა, წმინდა...

ი. თავაძე.
თბილისის მე-2 საშუალო სკოლის VI კლასი.

ᲬᲘᲜᲐᲜᲘ



ᲐᲠᲔᲛᲘ.

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲜᲐᲫᲔ.
 თბილისის 62-ე საშუალო სკოლა.

ივნისის ცხელი დილაა. სოფელ საირმეს ცივ-გომბორის გრილმა სიომ დაუბერა, ასწლოვანი ვერხვის ფოთლები ააშრიალა და მიძინებული სოფელი გააღვიძა. გაიღვიძეს ელგუჯამ და ზურაბმაც. ნასაუზმევს ბიჭები ონისეანთ წყაროსთან შეხვდნენ ერთმანეთს და ვახტანგისაკენ გაეშურნენ. ვახტანგი ეზოში დახვდათ. ბიჭები მიესალმნენ ამხანაგს და აღარ იცოდნენ საუბარი რით დაეწყოთ. ბოლოს ისევ ელგუჯამ გაბედა:

— ვახტანგ, ხომ იცი, შვინდიანში წყალი არ არის, ჩვენი მშობლები და მეზობლები მთელი დღე იქ მუშაობენ და მხოლოდ დილით წაღებულ დუბელა წყალს სვამენ. ხან თურმე ისიც გაუთავდებათ ხოლმე და მთელი დღე უწყლოდ არიან. მოდი, დავეხმაროთ, ცივი წყალი ჩავუტანოთ.

— ბიჭო, ოთხ კილომეტრზე დღეში სამჯერ ჩასვლა და ამოსვლა ამ სიცხეში ადვილი ხომ არ გგონია?

— არა, ვახტანგ, ფეხით სიარულს არ ვაპირებთ. მე და ზურაბს ესტატე ძიამ ტრაქტორის პატარა ძრავა მოგვცა. მოდი, ამ ძრავას თვლები დავუყენოთ და პატარა ავტომანქანის მსგავსი რაღაც გავაკეთოთ. იმით ხელად ჩავუტანთ ვენახებში წყალს და ამოვალთ კიდეც.

ვახტანგი გულმოდგინედ უსმენდა ელგუჯას. თვალწინ წარმოიდგინა კიდეც ის „მანქანა“, ამხანაგებს ჩანაფიქრი მოუწონა და საქმეს შეუდგნენ.

— ვახტანგ, მამაშენი ხელოსანია, დაგეხმარება, თვლები შენ გამოსჭერი! ისეთები გააკეთე, რომ ზედ გაზქურის ბალონის რეზინი გადაეკრას. უფრო რბილად ივლის. მე და გუჯა კი ტყეში წავალთ, ორი მუხის ძელი გვინდა.

ბიჭები შეთანხმდნენ, სამი დღის შემდეგ უკვე აწყობილი უნდა ჰქონოდათ „მანქანა“. გულმოდგინედ და დაუღალავად შრომობდნენ. თუ რამე გაუჭირდებოდათ, ისევ ესტატე ძიას ძიაკითხავდნენ და ისიც ხალისით ეხმარებოდა ბიჭებს.

* * *

ოფლში გაწუწული და მაზუთით მოთხუპნული ელგუჯა წელში გაიმართა და გამარჯვებულის იერით გადახედა ამხანაგებს.

— ბიჭებო, ახლა კი შეგვიძლია ავამუშაოთ, მაგრამ ჯერ სახელი დავარქვათ ჩვენს „მანქანას“.

ზურამ თქვა „სწრაფიო“, ელგუჯამ — „ისარიო“, ვახტანგმა კი — „პიონერიო“. არჩევანი „პიონერზე“ შეაჩერეს და ეს სახელი დაარქვეს.

მეზობლის ბიჭების დახმარებით „პიონერი“ გზაზე გამოიტანეს, მძღოლობა ელგუჯამ იკისრა და საჭეს მიუჯდა, ვახტანგი და ზურა ძარაზე მოთავსდნენ. ფირო, ვანო და პატარა ბიჭები უკანიდან აწვებოდნენ, ბიძგი სჭირდებოდა ძრავას ასამუშაებლად. „პიონერმა“ ჯერ დაიფრუტუნა, აძაგძაგდა, აგუგუნდა და მერე სოფლის გზაზე შურდულივით გაქარდა. მეზობლები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ოთხ თვალზე შესკუპებულ უცნაურ მანქანას, რომელმაც ელვის სისწრაფით ჩაუქროლა შექუჩებულ ხალხს. ბიჭები არ მოელოდნენ, თუ ასე გაუტევდა მათი „პიონერი“. შიშისაგან გაფითრებულები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მუხრუჭების დაყენება დავიწყებოდათ და ვეღარ აჩერებდნენ,

ᲖᲐᲜᲒᲘ.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲩᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
თბილისის 54-ე საშუალო
სკოლის IX კლასი.

„მოხუცი და ზღვა“.

თენგიზ ჩხარტიშვილი.
მახარაძის მე-8 საშუალო სკოლის
VI კლასი.

იმის იმედიღა ჰქონდათ, იქნებ გაუფუჭდეს რამე და თვითონ გაჩერდესო. უცებ გამოჩნდა მოსახვევი, ელგუჯამ საჭე მძლავრად მოღრიცა, მაგრამ „პიონერი“ ბარდებს შეერია და ჩრდილში მშვიდად მიწოლილი ღორები ჭყივილით წამოშალა.

* * *

გონს პირველად ელგუჯა მოვიდა, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ბარდების მეტი ვერაფერი დაინახა, მის უკან კი დადუმებული, გვერდზე გადაბრუნებული „პიონერი“ ეგდო. სახეზე სისველე იგრძნო, ხელი ჩამოისვა და თითები წითლად შეეღება. სახე ეკლებისაგან ჰქონდა დაკაწრული. ბარდიდან, როგორც იყო, გამოძვრა და რას ხედავს: ერთი ჯაგარაშლილი ღორი ჯაჭვზე დაკიდებულ ზურაბს მოათრევს გუბიდან. ზურამ ელგუჯა რომ დაინახა, გაუხარდა და შესძახა:

— გუჯა, ხელი მომეცი, თორემ დავიხრჩობი, რამსიღრმე ყოფილა ეს ოხერი გუბე!

ელგუჯამ ზურა ამოიყვანა და თან სიცილს ვერ იკავებდა, ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებულს რომ უყურებდა.

— გუჯა, ვახტანგი სადღაა? — შიშისაგან ფერწასული ზურა შეეკითხა გუჯას.

— აბა რა ვიცი, მეც ეხლა გამოვძვერი ბარდიდან.

ბიჭებმა იქაურობა მოათვალიერეს და, ჰოი, საკვირველებავ, მაყვლის ბარდზე ჩიტების საფრთხობელასავით გაკრული ვახტანგი არ დაინახეს! იქვე ახლოს მთის ცივი ნაკადული მოჩუხჩუხებდა. ბიჭებმა სისხლიანი და ტალახიანი ცხვირ-პირი მოიბანეს. დასვრილი ტანსაცმელი გაიწმინდეს. რის ვაი-ვაგლახით გამოათრიეს ბარდში შემჯდარი „პიონერი“ და სოფლისაკენ გასწიეს. მაშინვე ძია ესტატეს მიაკითხეს და დახმარება სთხოვეს.

— აბა, წამოდით, ვაჟკაცებო! თქვენს „პიონერს“ ისეთი მუხრუჭები უნდა დავუყენო, რომ ადგილზე გააქვაოს. წყალი კი დღესვე უნდა ჩაიტანოთ შვინდიანში. მოლოდინი ექნებათ. — უთხრა ძია ესტატემ.

შუადღის გაგანია სიცხე იდგა, აგუგუნებული „პიონერი“ კოლექტივის ვენახებისაკენ რომ მიჰქროდა.

კოლმეურნეებს თავი მიეწებებინათ სამუშაოსათვის, ჩრდილში ისვენებდნენ და მადიანად საუზმობდნენ. უცებ მათ წინ, „პიონერი“ ოსტატურად დაამუხრუჭა ელგუჯამ. მოწყურებული მშრომელები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს და თან მადლიერების გრძნობით აღვსილნი შეჰყურებდნენ მზისაგან გაშავებულ და სახედაკაწრულ ბიჭებს.

ალექსი ენუქაშვილი.
თელავის რაიონის სოფ. იყალთოს
საშუალო სკოლის X კლასი.

რა ქარი ქრის

გაზაფხულია, დილა ცქრიალა...
ნიავმა ბაღში გაიშრიალა.
ადექით მალე, ზური, ციალა,
ცაში ტოროლამ შეიფრთხიალა.
ადექით მალე, რადროს ძილია!
არ გესმით? — მღერის ძია ილია,
იქ, სადაც ხენი ველს დასცქერიან,
მწვანე კორდები ჩვენ მიგველიან.

მზია ბრაჰული,
თბილისის 118-ე საშუალო
სკოლის VIII კლასი.



ქართული ხალხური
საკრავები.
თბილისის 62-ე საშუალო სკოლის
ხის მხატვრული დამუშავების
წრის კოლექტიური ნამუშევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ სიდამონიძე.

ბაჭულა ჯაჭაყელი

მხატვარი
ზურაბ ფოცხიშვილი.

ბაჭულა ქიზიყელი, გვარად უსენაშვილი, ქიზიყის სოფლის — მაღაროს მკვიდრი იყო და მეფე ერეკლეს დროს ცხოვრობდა. ბაჭულას ყმაწვილობაში იმის ოჯახს ცხენი მოუკვდა. ცხენს ორი კვირის კვიცი დარჩა. ბაჭულამ კვიცი თავისი ხელით გამოზარდა და „ობოლა“ დაარქვა. ჯერ თხის, შემდეგ კი კამეჩის რძეს ასმევდა. ამასობაში ბაჭულა დაჭაბუკდა და „ობოლა“ გახედნა. გიშერივით შავი, მაღალფეხებიანი, ყელმოღერებული „ობოლა“ ბაჭულას გარდა ზურგზე არავის ისვამდა.

„ობოლას“ ერთმა მდიდარმა კაცმა თვალი დაადგა და ბაჭულას შეევაჭრა: ოღონდ ცხენი დამითმე და რასაც მთხოვ, მოგცემო. ბაჭულამ ცივი უარით გაისტუმრა.

„ობოლას“ ტოლი არ ჰყავდა შორს სირბილში. ხალხი ამბობდა: „ობოლა“ ფრთიანი მერანია, ოღონდ ფრთები გარედან კი არა, შიგნიდან აქვსო. რამდენჯერმე ბაჭულას „ობოლა“ ანთებულ თონეზე და ჭიაკოკონაზე გადაუხტუნებია.

ერთხელ მეფე ერეკლე ქიზიყს ეწვია. იქ მას უამბეს, ბაჭულა უსენაშვილს ასეთი და ასეთი ცხენი ჰყავსო. მეფემ ბაჭულა დაიბარა: თავის „ობოლათი“ ბაჭულამ მეფეს მოახსენა: ჩემი ცხენი სხვა მხედარს ზურგზე არ შეისვამსო. მეფემ ბრძანა: ვცადოთო, საუკეთესო მხედარმა გამოსცადოსო. მხედარი, როგორც იყო, ზურგზე მოევლო „ობოლას“ და 15 კილომეტრზე გააქროლა. უკან რომ მობრუნდა, მხედარს თვალის კაკლები გათეთრებული ჰქონდა. მეფემ თქვა: ამ ცხენს მხოლოდ ბაჭულასთანა მხედარი უნდაო. მერე ბაჭულა დაასაჩუქრა.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ბაჭულა თავის „ობოლათი“ ირემს დასდევნებია და ხანჯლით მოუკლავს.

ხალხმა „ობოლას“ ლექსი გამოუთქვა:

„ობოლა“: — სად მიხვალ, თეთრო ირემო,
ქორბუდიანო, რქიანო?
ირემი: — რა გინდა, ცხენო ტიალო,
შე ფეხებშუმაყიანო!
„ობოლა“: — მაშინ დამცინე, ირემო,
ნალები მოგიწკრიალო,
მოგწიო ჩემი პატრონი,
ხანჯალი დაგიტრიალოს.

ბაჭულა მეფე ერეკლეს ლაშქარში შევიდა. იგი უშიშარი მსტოვარი დადგა, მტრის ბანაკებში შედიოდა, მისი განლაგების, რაოდენობის შესახებ ცნობები მიჰქონდა მეფესთან, რაც დიდ მოხერხებულობასა და მამაცობას მოითხოვდა.

ბევრჯერ სცადეს მტრებმა ბაჭულას შეპყრობა, ან მოკვლა, მაგრამ „ობოლაზე“ ამხედრებული ვაჟკაცი ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდა მათ.

ერთხელ ბაჭულა თავის „ობოლათი“ ყაზახ-ბორჩალოს გზაზე მიდიოდა, თან ამხანაგიც ახლდა. უეცრად თათრების რაზმს გადაეყარნენ, რომელსაც დავით გარეჯის მონასტერი აეოხრებინა. თათრები ბაჭულასა და მის ამხანაგს გარს შემოერტყნენ, უნდოდათ ორივენი ხელში ჩაეგდოთ. ბაჭულას ამხანაგი მტერს შეაკვდა. ბაჭულამ ბევრი იბრძოლა, მაგრამ, აბა, მთელ რაზმთან რას გახდებოდა! მტერს ხელიდან დაუსხლტა და „ობოლა“ ქიზიყისაკენ გააქროლა. მტრის ერთი გუნდი უკან გამოეკიდა, მაგრამ ბაჭულამ „ობოლა“ ისეთ ციცაბოზე დაუშვა, სადაც, ცხენი კი არა, კაციც ძლივს ჩავიდოდა. ამის მაყურებელი მტერი გაკვირდა და დევნაზე ხელი აიღო. თათრებმა ბაჭულას გასძახეს: „ქართველო, შენს ცოლს უთხარი, მაგ ცხენს კარგად

თუ ამ ნახატებს გულმოდგინედ დააკვირდებით, გაზეთის ფურცლის საზაფხულო ქუდად გადაქცევა არ გაგიჭირდებათ.





მოუაროს". ბაჭულამ უპასუხა: „კიდევაც უვლის ჩემი ცოლი და იმიტომ გარბის ეგრეო".

ბაჭულამ ქართველ მოლაშქრეებს ამბავი მოუტანა: თათრებმა დავით გარეჯის მონასტერი აიკლესო. ქართველები დაედევნენ, მტერი დაამარცხეს და ნადავლი დააყრევინეს. ბაჭულაც მათ შორის იბრძოდა.

ერთ დღეს ქიზიყს ლეკები დაესხნენ და საქონელი გაიტაცეს. ქიზიყელები გამოეკიდნენ. ბაჭულამ „ობოლათი" ლეკებს თავს დაუარა, რომ გზა შეეკრა. უცაბედად მტერს შეეჩეხა. ლეკები ბევრნი იყვნენ. ბაჭულას ტყვია დაუშინეს. ბაჭულა იძულებული გახდა მიწას გაჰკვროდა. „ობოლა" დაწვა, ბაჭულა მას ამოეფარა. ცხენი სამჯერ დაიჭრა. გაცეცხლდა ბაჭულა, ხმალდახმალ გადაერია, ამასობაში სხვებიც მიეშველნენ. ლეკები გაიქცნენ და ნადავლზე ხელი აიღეს.

ბაჭულამ „ობოლა" ძლივს მიიყვანა შინ. იქ იგი მალე მოკვდა. ბაჭულამ თანშეზრდილი „ობოლა" თავის კარმიდამოში დამარხა. ამის შემდეგ ბაჭულა ცხენზე აღარ შემჯდარა. ქვეითად იბრძოდა მეფის ლაშქარში.

ბაჭულა ქიზიყელის ამბავი მის შთამომავალს — ხოსია უსენაშვილს ქართველი ჟურნალისტის ა. ნატროშვილისათვის უამბნია, რომელსაც გმირი ქიზიყელის შესახებ ცნობები XIX საუკუნის 90-იან წლებში „ივერიისათვის" მიუწოდებია.

პასუხი მე-3 ნომერში მოთავსებულ კითხვებზე

მანგლისის სიონი

ჩვენი ერის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, დიდი რაოდენობით გადაურჩა ჟამთა სიავეს და რბევა-აოხრებას, მარტო ესთეტიკურ სიამოვნებას კი არ გვანიჭებს, მარტო სიამაყის გრძნობით კი არ აგვავსებს, არამედ მათი გაცნობა ქართველი ხალხის არცთუ სვებედნიერი ისტორიის შესწავლაშიც გვეხმარება; ამდენად, ამ ძეგლებს ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობაც აქვს.

აი, თუნდაც მანგლისის სიონის ხუროთმოძღვრული ანსამბლი! ტაძარი იმ სახით, როგორც დღეისათვის არის მოღწეული, ერთი რომელიმე ეპოქის შემოქმედების ნაყოფი კი არ არის, არამედ სხვადასხვა ხანის მშენებლობათა შედეგია, თუმცა ამ რთული ნაგებობის შესწავლისას მშენებლობის პერიოდის გამოყოფა მაინც ხერხდება.

წერილობითი წყაროების (როგორც ქართული, ისე სომხური) ცნობებით, მანგლისი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი კუთხე ყოფილა, რის გამოც იგივე ისტორიული წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ქართლის ცხოვრება") მითითებით, საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისას (IV ს. პირველი ნახევარი) აქვე აუგიათ ერთ-ერთი პირველი ტაძარი. ხოლო დღევანდელი მანგლისი იმჟამინდელი ქართლის „ყველაზე მნიშვნელოვანი" ქალაქი ყოფილა, რომელიც ბოლნისთან, რუსთავთან, თბილისთან და უჯარმასთან ერთად იხსენიება. როგორც ჩანს, მანგლისს არც მომდევნო ხანებში დაუკარგავს მნიშვნელობა, ისე რომ, ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს შორის, მანგლისის საეპისკოპოსოს წყარო რიგით მეოთხედ ასახელებს. X საუკუნის ისტორიკოსი არსენ კათალიკოსი წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველ თხზულებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში მანგლისში ქვის ეკლესია აუშენებიათ, მისთვის იმ ჯვრის ნაწილები შეუწირავთ, რომელზეც თვით ქრისტე ყოფილა ჯვარცმული. მანგლისის ტაძარს ისეთი დიდი გავლენა და სახელი ჰქონია, რომ მის მოსალოცველად თურმე სომხეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ. ამიტომ იყო, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ (607-8 წლები) სომეხთა კათალიკოსს — აბრაამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის ეზოს ამბავი

ბავშვებო, სად მდებარეობს ეს ძეგლი, როდის არის იგი აგებული, რა ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული და, საერთოდ, რა იცით მის შესახებ?

ეკლესიის ეზოს ამბავი

საგანგებო ბრძანებაც კი გაუცია, რომლის თანახმად სომეხ მორწმუნეთ „მცხეთისა და მანგლისის ჯვრების“ ტაძრებში ლოცვა ეკრძალებოდათ. ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მანგლისის ტაძარი თავდაპირველად წმ. ჯვრის სახელობაზე აუშენებიათ (საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება ტაძრისთვის ზემოთხსენებულ შეწირულობებს დაუმკვიდრებია), ხოლო ერთ-ერთი შეკეთებისა და სატაძრო ცხოვრების აღდგენისას „იგი ღვთისმშობლის სახელზე უკურთხებიათ.

თუ როგორი იყო მანგლისში პირველად აგებული ქვის ეკლესია, ამის შესახებ გადაჭრით რისამე თქმა დღეს ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადი უნდა იყოს: იგი მცირე ზომის ნაგებობა იქნებოდა, რადგან, იმხანად, ღვთისმსახურების ნორმებით, დიდი ტაძრების შენება ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო აუცილებელი.

შემდგომ ხანებში მომხდარმა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა, რაც ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდისათვის იყო ნიშანდობლივი, თავისი გამოძახილი საეკლესიო ორგანიზაციაშიც ჰპოვა. სწორედ ამ დროს, დაახლოებით V ს. მიწურულში, უნდა იყოს აგებული მანგლისის ტეტრაკონქის ტიპის, ცენტრალურ-გუმბათოვანი, რამდენადმე დიდი ზომის ტაძარი, რაც ტაძრის შემდგომმა შესწავლამაც დაადასტურა.

მანგლისის ტაძრის აღშენება-გადაკეთების მეორე ძირითადი პერიოდი, რომლის შედეგადაც ნაგებობას ხუროთმოძღვრული იერსახეობა არსებითად შეუცვლია, გიორგი I მეფობის ხანას ემთხვევა (1014-1027 წლები). ამ დროსვეა შესრულებული კედლის მხატვრობაც, რომელსაც დღემდე ფრაგმენტულად მოუღწევია. ქართული კულტურის ამ უაღრესად თავისებურმა და განუმეორებელმა ეპოქამ მხატვრული თვალსაზრისითაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლები დაგვიტოვა, რის საფუძველსაც გაერთიანებული საქართველოს აღორძინებული პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება ქმნიდა. ხახული, ოშკი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი და სხვა... აი, ის ძეგლები, რომელთა ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა იმჟამინდელი საქართველოს კულტურის მაღალი დონის გასათვალისწინებლად. ამ ეპოქის ძეგლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხუროთმოძღვრული თემის ახლებურად გააზრება-დამუშავების პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ტაძრების გრანდიოზულ ნაგებობათა დეკორაციულ გაფორმებას ენიჭებოდა. ორნამენტული მოტივების სიმდიდრე, მრავალფეროვნება და შესრულების ჭირტუოზულობა ინტერიერის კედლის მხატვრობის სწორუპოვარი ნიმუშებით, ორიგინალური, მაღალმხატვრული გემოვნებით და არტისტიზმით დამუშავებული ქვის კანკელებით გააზრებული შემკობა, ეს ყოველივე იმ ხანად ჩვენში დეკორაციული ხელოვნების განვითარებისა და მისი განუმეორებელი სრულყოფის უტყუარი დასაბუთებაა.

მანგლისის სიონიც სწორედ ამ მხრივ იპყრობს ყურადღებას: დახვეწილი, თავდაჭერილი და დინამიკურია ტაძრის ორნამენტული დეკორირე. იგი ზომიერების გასაოცარი გრძნობით და კეთილშობილებით გამოირჩევა. აქ არაფერია ზედმეტი და ნაუცბათევი; ყველგან სიმშვიდე, ლოგიკურობა და გაწონასწორების მკაცრი თანმიმდევრობა სუფევს; ისეთი გრძნობა იპყრობს მნახველს, თითქოს ოსტატს ორნამენტული მოტივების ნაირფეროვნება ხუროთმოძღვრული დეტალების გამოსარჩევად და ხაზგასასმელად შეუქმნია. ამ ნიშანთვისებით მანგლისის ტაძრის გამორჩევა XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებისაგან ძალზე იოლია, რაც, საფიქრებელია, მოსაპირკეთებელი ქვის სტრუქტურის თავისებურების შედეგიც იყოს. ტაძრის აღდგენა-შეკეთების ისტორია, რა თქმა უნდა, ზემოთ მითითებული ორი ძირითადი პერიოდით არ შემოიფარგლება. სხვადასხვა დროს შეკეთების კვალი ტაძარს ატყვია კიდეც. ვინ იცის რამდენ შემოსევას და ჟამთა სიავეს შესწრებია იგი, მაგრამ გადარჩენილა მზრუნველთა ხელშეწყობით და ჩვენს დრომდე მოუღწევია.

ი. ჯანდიერი,
საქართველოს ხელოვნების მუზეუმის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მესამე ნომერში დასმულ კითხვებზე სწორი პასუხები გამოგზავნეს:

გურჯაანის რაიონის სოფ. მახარაძის საშ. სკოლის V კლასის მოსწავლემ ლალი მაზანიშვილმა; ქ. ჭიათურის მე-2 საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლემ ლიანა ბურჯანაძემ; დმანისის რაიონის სოფ. განთიადის საშ. სკოლის VII[1] კლასის მოსწავლეებმა რუსუდან და გულნარა დეკანოზაშვილებმა; აზერბაიჯანის სსრ კახის (საინგილო) რაიონის სოფ. თოფახის ქართული რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა მარინე ნუროშვილმა და ლიდა ყულოშვილმა.

ვინ არიან წარმოშობით?

დღემდე ვერავის ვერ გამოურკვევია, თუ ვინ არიან წარმოშობით კუნძულ მალტის მკვიდრნი. გარეგნობით ისინი ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებლებს ჰგვანან—შავგვრემანი კანი, თაფლისფერი თვალები და შავი თმა აქვთ. მათი ენა არაბული დიალექტია, მაგრამ სინტაქსსა და ლექსიკას შესამჩნევად ეტყობა იტალიურის გავლენა. დამწერლობა აქ ლათინურია, რელიგია — კათოლიკური. მალტელთა აზრით, ქალს მხოლოდ ორჯერ აქვს სხვების წინაშე გამოჩენის უფლება: ერთხელ, როცა ქორწინდება, მეორედ კი — თავისი დასაფლავების დღეს.

თეთრი საკლასო დაფა

იაპონიის ზოგიერთ სკოლაში ტრადიციული შავი საკლასო დაფა თეთრი დაფით შეცვალეს. ეს უკანასკნელი პლასტმასისაგან არის დამზადებული და მასზე წერენ ექვსფერიანი თვითმწერი კალმით, რომელსაც წვერზე რბილი ფეტრის ბუნიკი აქვს. ამ კალმიდან გამოუონილი მელნის წაშლა იოლია.

ასეთი რამ მეტი არსადაა!

ქუჩათა გზაჯვარედინები, სარკინიგზო ხაზების გადაკვეთილობა — უველაფერი ეს ჩვეულებრივი რამ არის. მაგრამ ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პოზნანის სავოევოდოში (პოლონეთი) არის მდინარე, რომელიც სწორი კუთხით ჰკვეთს მეორე მდინარეს, რის შემდეგაც თვითეული მათგანი, თითქოსდა აქ არაფერიაო, თავის გზას განაგრძობს.

უველაზე, უველაზე...

დედამიწის ზურგზე უველაზე მეტი ნალექი (წელიწადში საშუალოდ 12 660 მმ) მოდის აღმოსავლეთ ინდოეთში, ჰიმალაის მთების მახლობლად — ჩერაპუნჯის მიდამოებში. ამოდენა წვიმის წყალი მდინარეებში რომ არ ჩადიოდეს და არც მიწაში იყონებოდეს, ჩერაპუნჯის მთელ არემარეს 12,6 მეტრ სიმაღლეზე დაფარავდა.

უველაზე გვალვიანი ადგილებია ჯადი ხალფა (სუდანის რესპუბლიკა) — და ჩილის უდაბნო ატაკამა. თუ უდაბნოთა ზოგიერთ ალაგას მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 1 მმ ნალექი მოდის, ვადიხალფას ეს „ულუფა“ სამ წელიწადში მარტო ერთხელ ეღირსება ხოლმე.

უველაზე დიდი სიცხე ლიბიაში, ტრიპოლის მახლობლად იცის. ყოფილა შემთხვევა, როცა სიცხე აქ 50 გრადუსამდე (ცელსიუსით) ასულა.

უველაზე დაბალი ტემპერატურა რეგისტრირებულია 1960 წელს ანტარქტიდაში, სადგურ „ვოსტოკში“ — 88,3 გრადუსი ყინვა.

რატომ უვითლდება ფოთოლი

თავის დროზე ტიმირიაზევმა მოახერხა იმის დადგენა, რომ ქლოროფილის მწვანე პიგმენტი მწვანე და ყვითელი პიგმენტების ნარევია. მწვანე პიგმენტს მან ქლოროფილინი უწოდა, ყვითელს — ქსანთოფილი. ქლოროფილინი ადვილად იშლება, ქსანთოფილი კი უფრო გამძლეა. სწორედ ამით აიხსნება შემოდგომაზე ფოთლის გაყვითლება.

მცენარეებში ქლოროფილის მარცვლების წარმოქმნისათვის აუცილებელია აზოტოვანი საკვები, რკინის მარილები, ყანგბადი და, რა თქმა უნდა, სინათლე და სითბო.



კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 2. იტალიელი მწერალი; 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. ქალაქი ბასკეთში; 8. მორწმუნეთა სალოცავი ადგილი; 11. ინგლისელი მწერალი; 12. სპორტული შეჯიბრის დასასრული; 13. „გრაფ მონტე კრისტოს“ მოქმედი გმირის სახელი; 19. მდინარე სსრ კავშირში; 20. მდინარე საქართველოში; 22. რომის პაპების გვირგვინი; 23. ბიოლოგიური კლასიფიკაციის საფეხური; 26. საბრძოლო მანქანა; 27. შვედი ბუნებისმეტყველი; 29. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 30.

ცდებით დამტკიცდა, რომ მცენარეების ამწვანებისათვის ხუთი გრადუსი სითბო მაინც არის საჭირო; ხოლო სინათლე მცირეოდენიც ჰყოფნის: გაზის ნათურის ან ნავთის ლამპის შუქიც კი კმარა.

ფრთხილად — ლურჯია!

ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხობას შეღებილი გზატკეცილი უფრო უწყობს ხელს, ვიდრე სხვა საგზაო ნიშნები, — ასე ფიქრობენ აშშ-ში. ამ ქვეყანაში სახიფათო გზაჯვარედინებთან გზის ასფალტს წითლად ღებავენ, იქ, სადაც ტრანსპორტმა სიჩქარე უნდა შეანელოს — ნარინჯისფერ-ყვითლად, ძნელად სავალ ადგილებში — ყვითლად, სკოლებთან კი, სადაც ქვეითად მოსიარულე მუდამ ბევრია — ლურჯად; როცა ტრანსპორტს უფლება აქვს რა სიჩქარითაც უნდა, იმ სიჩქარით იაროს, ასფალტი მწვანე ფერისაა.

მოხარხარე ჩიტი

ბრაზილიაში ცხოვრობს ადგილობრივ მკვიდრთა საყვარელი ჩიტი კუკებურე, რომელიც ისე გალობს, გეგონება, ვიღაცა მჭექარე ხმით ხარხარებსო.

ჩვეულებრივ, მზის ჩასვლის შემდეგ, კონცერტს ერთი მგალობელი იწყებს, მას მეორე, მესამე აჰყვება ხოლმე და სულ მალე ტყეს ხმამაღალი ხარხარი მოიცავს.

„მოხარხარე" გველებით იკვებება, რომელთაც ღონიერი ნისკარით ჭკლავს. ალბათ სწორედ ამიტომ ეძახდნენ კუკებურეს ძველად „ღრიალა ეშმაკს".



უხუცესი ხე

მსოფლიოში ყველაზე ხნიერი ხე იაპონიის კუნძულ იაკუსიმაზე აღმოაჩინეს. ეს კედარია. მისი ღეროს გარეშემოწერილობა 16 მეტრია. მეცნიერებმა ელექტრული ხელსაწყოებით გამოიკვლიეს მცენარეული სამყაროს ეს პატრიარქი და დაადგინეს, რომ იგი დაახლოებით 7200 წლისაა.

რომელი სჯობს: 24 თუ 12?

სწორედ ამ კითხვაზე ჩაფიქრდნენ შვეიცარიელი მესაათეები. საქმე ის არის, რომ მათ გადაწყვიტეს ახალი ციფერბლატი გააკეთონ, რომელსაც საათის მაჩვენებელი დანაყოფი 12-ის ნაცვლად 24 ექნება. დე პატარა ისარმა ციფერბლატს დღეღამეში ორჯერ კი არა, ერთხელ შემოუაროსო, მაშინ დღე და ღამე ერთმანეთში არავის აერევაო.

რძე — ბისკვიტების სახით

ავსტრალიელმა მეცნიერებმა გამოიგონეს მთელი წლის მანძილზე რძის შენახვის ხერხი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცხელ ქვეყნებში მცხოვრებთათვის. რძე ძალიან ტკბილ ბისკვიტებად იქცევა და სიამოვნებით შეექცევიან ბავშვები.

ჩავიცვათ ქაღალდი!

ეს ლოზუნგი არც ისე უცნაურია, როგორც პირველი შეხედვით ჩანს. საქმე ის არის, რომ უნგრელმა მკერავებმა ქაღალდის ტანსაცმლის მასობრივი გამოშვება დაიწყეს. ამ ტანსაცმელზე მოთხოვნილება კი, ეტყობა, საკმაოდ დიდი იქნება.

არქიპელაგი წყნარ ოკეანეში; 32. ფეხბურთის გუნდი უნგრეთში; 36. მუსიკალური საკრავი; 37. მთები პამირის მთიანეთში; 39. მოწინავეთა კუთხე; 40. შხამიანი ობობისნაირი; 44. ესპანელი მოგზაური, რომელმაც აღმოაჩინა წყნარი ოკეანე; 45. ადრე მონათმფლობელური სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში; 47. მთები საბჭოთა კავშირში; 48. კურორტი საქართველოში; 50. ფრანგი ფიზიკოსი; 52. ლენინური ბოლშევიკური გაზეთი რუსეთში.

ვერტიკალურად: 1. საღებავი; 3. ჭადრაკის ფიგურა; 6. გმირი ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის სახელობისაც არის ერთ-ერთი ოკეანე; 7. სრუტე ევროპაში; 9. ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი; 10. ჰომეროსის ნაწარმოები; 14. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილი ერთ-ერთი მიმდინარეობა; 15. პოეზიის სიმბოლო; 16. ქალაქი კორეაში; 17. პარკოსანი მცენარე; 18. ვაზის გაწმენდა ზედმეტი ტოტებისაგან; 21. აზიის მთების სახელწოდება; 24. მეცნიერების დარგი; 25. ქალაქი საფრანგეთში; 28. პორტუგალიელი ფეხბურთელი; 31. ქალის სამკაული, სიცხისაგან თავის დასაცავი; 33. ლ. ლეონოვის რომანი; 34. ფრანგი სოციალ-უტოპისტი; 35. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 38. ფრანგი მათემატიკოსი; 41. მგალობელი ფრინველი; 42. ილ. ჭავჭავაძის ლექსი; 43. თევზი; 46. ცნობილი რუსი პოეტი, 49. ტბა საქართველოში; 51. მთა სამეგრელოში; 53. მდინარე რუსეთში.

ტარიელ ხურცია,
ქ. ზუგდიდის 1-ლი სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლე.

დომინო

ორი წყვილი კოტი ისე გადააადგილეთ, რომ ყოველ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რიგში 15-15 რიცხვი მიიღოთ.



პასუხები

კროსვორდი

პეტრე ჩაიკოვსკი



გადამალული განძი

ვარძიიდან ზაჰესამდე

ავთანდილ ციბაძე

გამომცემლობა „ნაკადულმა“ კიდევ ერთი საინტერესო და სასარგებლო წიგნი შესძინა ნორჩი მკითხველის ბიბლიოთეკას, უფრო კი — სამდინარო ტურიზმის მოყვარულებს.

ნავით ლაშქრობა იოლი საქმე როდია! ჯერ სათანადო ფიზიკური წრთობა უნდა გაიარო, მერე, უნდა იცოდე სამდინარო ტურიზმის ორგანიზაცია, სალაშქრო ნავის მოწყობა, ინვენტარის შერჩევა, მოგზაურობის რეჟიმი, კვების რეჟიმი, დაბრკოლებათა გადალახვის, კარვის გაშლის, კოცონის დანთების ხერხები, ამინდის გამოცნობა, სამხარვთმცოდნეო მუშაობა გზაში, ნიჩბის ხმარების წესები, სოკოების გამოცნობა, ტურისტის ქცევის წესები და მრავალი სხვა. აი, სწორედ ამაზე გესაუბრებათ „ვარძიიდან ზაჰესამდე“.

მოლაშქრეთა საინტერესო თავგადასავალთან ერთად, წიგნში აღწერილია ყველა ის ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლი და ახალმშენებლობა, მტკვრის გაყოლებაზე, რომ ხვდებოდათ მოლაშქრეებს.

გროლის ხეობა

როსტომ ელანიძე

ცნობილ საბავშვო მწერალს როსტომ ელანიძეს ბევრჯერ გაუხარებია ნორჩი მკითხველი. ამჯერად იგი ფანტასტიკური თავგადასავლებით აღსავსე წიგნს გვთავაზობს.

ბავშვებო, წაიკითხავთ ამ პატარა წიგნს და უეჭველად დაინტერესდებით თავგადასავლების მოყვარული ბავშვების ბედით. ესენი ცელქი, მაგრამ ჭკვიანი ბიჭები არიან, სიმამაცეში ტოლს არ უდებენ სოფლად არხის მშენებლობაზე ჩამოსულ გეოლოგებს.

მოქმედება მიუვალ მთებში, უღრან ხეობებსა და საიდუმლო გამოქვაბულებში მიმდინარეობს. ყოველ ნაბიჯზე საფრთხეა მოსალოდნელი. ყოველ ნაბიჯზე [illegible] ბის სამყაროში შევყავართ. ძიების სიყვარულს ბავშვები კლდეში ნაკვეთ სიძველეთა ძეგლებამდე მიჰყავს. ჩვენს თვალწინ იშლება საქართველოს ძნელბედობის დროს შექმნილი თავდაცვითი ნაგებობანი, სამეფო დარბაზები...

ბავშვების მონდომება წარმატებით გვირგვინდება: ისინი რკინის მდიდარ საბადოს პოულობენ.

საძიებელი

მ. ზოშჩენკო — როგორ გააცურა ლენინმა უანდარმები (მოთხრობა, თარგმნა ვ. ულენტმა) 1
ჟ. მალიკოვი — არ უღალატებს მეჯოგის შვილი (ლექსი, ყირგიზულიდან თარგმნა ვ. გორგანელმა) 2
ა. ჩიგოგიძე — შრომითა და ფანტაზიით სავსე სასახლე (ფოტორეპორტაჟი) 3
ბ. კაკაუაშვილი — ჩვენს ბიძებს გაუმარჯოს! (მოთხრობა) . . 6
თ. ჩიჩუა — ძველი ეგვიპტის არქიტექტურა (წერილი) . . 8
მორის ჟანი — ფარფუნეს განძეული — (მოთხრობა, თარგმნა ნ. ფურცელაძემ) 14
მოსწავლეთა შემოქმედება 18
ვ. სიდამონიძე — ბაჭულა ქიზიყელი (წერილი) 26
გამოგადგები 27
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? . . 29
ჯადოსნური სარკე 30
ცხრაკლიტული 30
ახალი წიგნები 32

გარეკანზე „მეგობრობის ფერხული“. მხატვარი რ. ცუცქირიძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე გერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-38, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-94-37 93-53-05, განყოფილებების—93-94-29

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 18/IV-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-69 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 1243. ტირ. 108.700. უე 00775.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

პირველი მაისი

ციური ხუდაკვერდოვი.
თბილისის 65-ე საშუალო სკოლის IV კლასი.

სახედარი. გიო გაგოშიძე. 10 წლის.

ცხენი ჟალუზე.

იმერეთი. სამსონ ლეჟავა. 13 წლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС